საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 ივლისი, 2015 წელი.

№129 (7774)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ჟურნალისტური ძიება ჟურნალისტობის „მაძიებელზე“



ჭორებში რომ ყელყელაობს, იმ ელისოს რა ელისო?!.

6

...სამწუხაროდ, ქალბატონ ელისო კილაძის შოკისებური პროპაგანდა ძირითადად ჭორებზეა დამყარებული, ამიტომ სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის ია ანთაძის განცხადება: საზოგადოებამ ელისო კილაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობას ყოველთვის ეჭვის თვალით უნდა შეხედოს.

მიშა გომიაშვილი:

თუ მამაკაცი ამბობს, რომ ნაპოლეონია ან მარსიელი – მკურნალობენ... თუ ამბობს, რომ ქალია – მის „უფლებებს“ იცავენ?

5

მაგათი ლეგენდები აღარ მუშაობს

ეკა ბესელია: ნაციონალებს ხმის ამოღების უფლება არა აქვთ

3

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ცხვარიჭამია-თბილისის ტრასაზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები

კონსტანტინე (კოკა) ჯობავა, ირაკლი ჭანია, შოთა ანჯაფარიძე, ზურაბ ლემონჯავა, ირაკლი ნაროუშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულთა მშობლებსა და ნათესავებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ ერთ მუშტად შეკრული ქვეყანა, ის საქართველო, რომელიც ყველას გვეამაყება

განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“, თბილისში მომხდარი სტიქიის ამსახველი ფოტოგამოფენა „13 ივნისის“ გახსნისას. მან 13 ივნისს მომხდარი ტრაგედია გაიხსენა და დაღუპულთა ოჯახებს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

„დღეს ერთი თვე გავიდა 13 ივნისიდან. ერთი თვე გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, რომელმაც ყველა ჩვენგანი შეძრა. სტიქიისგან მიყენებული ყველანაირი ზარალი შეიძლება ანაზღაურდეს, მაგრამ ვერაფერი აანაზღაურებს ადამიანთა სიცოცხლეს და იმ ტკივილს, რაც მათი დაკარგვით მოგვადგა ყველას, პირველ რიგში მათ ოჯახებს. კიდევ ერთხელ მინდა, დიდი გულისტკივილით მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს და პატივი მივაგო მათ ხსოვნას.

ჩვენ დავინახეთ როგორ ვერთიანდებით მძიმე წუთებში. ჩვენ მომსწრენი გავხდით უამრავი იტორიისა, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი, ადამიანური და მოქალაქეობრივი იყო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასეულობით გმირობის მაგალითია, რომელიც აუცილებლად შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. შეუძლებელია თითოეული მათგანის ჩამოთვლა, თითოეული ისტორიის მოყოლა, ზოგის სახელიც კი არ ვიცით, მაგრამ ვიცით მისი ისტორია, სოლიდარობის და უდიდესი თანადგომის ისტორია. მეგობრებო, იმ მძიმე წუთებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს კონსოლიდაცია“, — აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სამაშველო სამსახურს და დაღუპული მაშველის ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო.

„პირველ რიგში, კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა სამაშველო სამსახურს. რომ არა ამ ბიჭების თავგანწირვა, მსხვერპლი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა. მთელმა ქვეყანამ დაინახა, რომ მათ რიგებში გმირები მსახურობენ“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა სამინისტროებს, მინისტრებსა და სხვადასხვა უწყებებს.

„მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმ მძიმე წუთებში სამინისტროები, მერიის უწყებები შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდნენ და გამოავლინეს მაღალი პასუხისმგებლობა. დღეს განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის ხელმძღვანელს ვახტანგ გომელაურს, საგანგებო ღონისძიებათა ცენტრის, საპატრულო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს; თავდაცვის სამინისტროს, მინისტრს, ქალბატონ თინას, საინჟინრო მხარდამჭერი ბატალიონის და საავტომობილო ბატალიონის ჯარისკაცებს; ენერგეტიკის მინისტრს, ბატონ კახას, გარემოს დაცვის მინისტრს, ბატონ გიგლას, სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ოთარს, ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს, სპორტის მინისტრს, ბატონ ტარიელს, ეკონომიკის მინისტრს, გიორგი კვირიკაშილს, თბილისის მერს დავით ნარმანიას, თბილისის მერიის სამსახურებს, განსაკუთრებით სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს, რომლებმაც თავიანთი განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში“, — განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს პრეზიდენტმა კახა კალაძე და შსს-ს 11 თანამშრომელი დააჯილდოვა. ჯილდოები 13 ივნისს მომხდარი სტიქიის დროს გამოჩენილ თავდადებას უკავშირდება.

მისივე თქმით, ტრაგედიის დღეებში განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ჩვენი მოქალაქეების, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდების სოლიდარობა.

„ეს მუხტი გადამდები და სამაგალითო აღმოჩნდა თითოეული მოქალაქისთვის. ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ ერთ მუშტად შეკრული ჩვენი ქვეყანა, ის საქართველო, რომელიც ყველას გვეამაყება. მინდა, ასევე, მადლობა გადავუხადო იმ უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც გვერდით ედგნენ ჩვენს ქართველ მოხალისეებს და მათთან ერთად შრომობდნენ.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ჟურნალისტებს, მედიის წარმომადგენლებს და ფოტოგრაფებს, ვინც ამ მძიმე წუთებში ჩვენს გვერდით იდგნენ. მადლობა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩვენს მეგობრებს, რომლებიც სტიქიის დღიდან გვერდით გვედგნენ და გვეხმარებოდნენ. მეგობრებო, დღეს აქ წარმოდგენილია 13 ივნისის სტიქიის ამსახველი ფოტოები. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის დღეები, ჩვენ უნდა გვახსოვდეს მძიმე წუთებში ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების სამაგალითო კონსოლიდაცია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ, რომ დაზარალებულებს ცხოვრების ღირსეული პირობები აღვუდგინოთ, შევუქმნათ და თანდათან დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ამასაც ჩვენი საერთო ძალისხმევით და სოლიდარობით მივაღწევთ“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მრავალი განსაცდელის წინაშე ვართ, მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ

ჩვენ ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ — განსაკუთრებით დღეს, როცა ამდენი პრობლემაა ჩვენი ერის, ყოველი ადამიანის და ოჯახის წინაშე, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამებაში, საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

პატრიარქმა მრევლს ერთგულებისა და ერთმანეთის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ილია მეორემ მართლმადიდებელ ქრისტიანებს პეტრე და პავლე მოციქულების ხსენების დღე მიულოცა და მათი ქადაგებებისა და ცხოვრების შესახებ ისაუბრა.

„პეტრე და პავლე არიან ერისა და ეკლესიის ორი სვეტი. პეტრე, რომელსაც ეწოდა ქვა, ააშენა ეკლესია კლდესა ზედა და ბრჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას. პავლე მოციქული, რომელიც მოსეს რჯულის აღმსრულებელი და ქრისტიანთა მდევნელი იყო, წმინდა ეკლესიის უდიდესი მოძღვარი, უდიდესი მქადაგებელი გახდა. პავლე მოციქული ამბობს: — ურთიერთსიმძიმე იტვირთეთ და ესე აღასრულეთ რჯული ქრისტესი. ეს უნდა გვახსოვდეს. ჩვენ ერთმანეთის სიმძიმე უნდა ვიტვირთოთ — განსაკუთრებით დღეს, როცა ამდენი პრობლემაა ჩვენი ერის, ყოველი ადამიანის და ოჯახის წინაშე.

„მცირესა ზედა იყავი ერთგული და დიდსა ზედა დაგედგინოს შენ“ — უფლის ეს სიტყვები მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის მხარდამჭერები, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის ერთგული. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი ერთგულებას არღვევს და იმ ადამიანს, რომელმაც სიკეთე გაუკეთა, ღალატობს, ან ცუდით პასუხობს. წმინდა მოციქული პეტრე, რომელიც სარწმუნოების, სიმტკიცის, ერთგულების მაგალითია, ისიც კი შეშინდა, მაგრამ თავისი ერთგულება დაამტკიცა იმით, რომ ჯვარს თავდაღმა ეცვა. პეტრე მოციქულს თავი მოკვეთეს, როგორც რომის მოქალაქეს. ეს არის დღესასწაული, რომელიც გვაჩვენებს, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა ვიაროთ, სად უნდა დავინახოთ სიკეთე და სად ბოროტება. ეს ყველაფერი შეესაძლებელია მხოლოდ იმით, როცა ადამიანს ღმერთი გაუხსნის გულს და გონებას“, — ბრძანა პატრიარქმა.

კობა ხარშილაძემ ზურაბ ჟვანია 8 მილიონად გაყიდა

თუ ეს ნაბოდვარი ნაფიცმა მსაჯულებმა დაიჯერეს, ეს ამ ინსტიტუტის ძირის გამოთხრა იქნება, — ამის შესახებ ზურაბ ჟვანიას საქმეზე ბრალდებული მისი დაცვის ყოფილი უფროსის კობა ხარშილაძის ჩვენებაზე კომენტირებისას პარლამენტის ყოფილმა წევრმა ხათუნა ხოფერიამ განაცხადა.

„ეჭვი არ მეპარება, რომ ზურა მოკლულია. მას ტუჩთან ჰქონდა ნაჭდევი, რომელიც არ შეიძლება სიკვდილის მერე იყოს მიღებული. თავის ქალაზე აღენიშნებოდა ჰემატომა. ხარშილაძეს კი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8 მილიონი აქვს შეჭმული, რაც წინა ხელისუფლებამ აპატია, რათა ახლა ეს სიბინძურე ეთქვა. დიახ! ხარშილაძემ ჟვანია 8 მილიონად გაყიდა! ეს საქმე სააკაშვილის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და მას წერტილს დაუსვამს“, — განაცხადა ხოფერიამ.

კობა ხარშილაძემ ნაფიცი მსაჯულების პირობებში ჩვენება საჯაროდ და პირველად რამდენიმე დღის წინ მისცა. მისი თქმით, „იმ სახლში, სადაც ჟვანია და უსუპოვი გარდაცვლილები იპოვეს, ისინი შიშვლები ნახა“.

◎ რუსეთის პროვოკაცია

პრაღაში მნვავე საუბარი იქნებაო, მაგრამ რაზე ილაპარაკეს მოსკოვში?!

„მე ვიმყოფები მოსკოვში იმიტომ, რომ ხელი შევუწყო ქართულ-რუსული ურთიერთობების დალაგებას. ვპირდები ქართველ ხალხს, რომ მათ თავზე ბომბებს აღარავინ აღარ დააყრის“, — იფიცებოდა მოსკოვიდან „გაერთიანებული დემოკრატების“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, მაგრამ „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“. ბურჯანაძის დიპლომატია არ ჭრის, ან ვერ ჭრის, როცა რუსულ პოლიტიკურ ინტერესებს პირდაპირ პროპორციულად არ ემთხვევა.

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი აღმართეს 10 ივლისს გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს, თითქმის ნახევარ კილომეტრში. ამ სოფლების სიახლოვეს მდებარეობს ბაქო-სუფსის მილსადენის გარკვეული მონაკვეთები და შესაბამისად, ნავთობსადენის ნაწილიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა.

როცა საქართველოს მთავრობამ საფრანგეთთან საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება გაფორმა, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა ნატოს პოტენციური არსებობა კავკასიაში, რუსეთის რეაქცია ასეთი რომ იქნებოდა, დიდი მიხვედრა არ იყო საჭირო, მაგრამ მაინც, წესი ითხოვს, რომ უნდა შეშფოთდეს ხელისუფლება და შეშფოთდა კიდეც. თავდაცვის მინისტრის განცხადებები გაცილებით აგრესიულია, ვიდრე ზოგადად ხელისუფლებისა. **„ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია და 2 კილომეტრით გადმოწევს საზღვარს რუსეთი თუ 20 მეტრით, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ იმავე ხაზის გაგრძელებაა, რაც 2008 წლიდან ხდებოდა. ჩვენი გზა ევროატლანტიკური მისიისკენ სწორედ ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ოკუპაციის, ძალმომრეობის, ძალადობისგან თავის დასაღწევად. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ საქართველო ამ 20 მეტრს ან 2 კილომეტრს კი არა, იმ 20 პროცენტსაც დაიბრუნებს და რუსებს საკუთარი ხელით მოუწევთ ბანერების უკან გადაწევა“.** ხელისუფლების ასეთი განცხადებები არაერთხელ მოგვისმენია, თუმცა, ახალი ხელისუფლების ლოგიკისთვის ნამდვილად არ არის დამახასიათებელი. ალბათ, როგორც „რესპუბლიკელს“ თინა ხიდაშელს ამერიკის სიძლიერის უფრო სჯერა, ვიდრე რუსეთისა. მაგრამ, რუსეთი რომ ჩვენი ერთი უსმინარი და უხეში მეზობელია, ამას რა ვუყოთ. ის ყველას და ყველაფერს ეწინააღმდეგება, თუკი მისი პრინციპები საფრთხის ქვეშ დგება...

„პრიმიტიული, თუმცა, საშიში პროვოკაცია“, — მიიჩნევს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე, რომელიც პირადად ჩავიდა გორის რაიონის სოფლებში და მოსახლეობას შეხვდა. ფრთხილი და წინდახედული დიპლომატიც კი აღაშფოთა იქ შექმნილმა ვითარებამ და პრაღის ფორმატის მიუხედავად, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებას ითვალისწინებს, გადაწყვიტა, რუსეთის წარმომადგენელ გრიგორი კარასინს ამ საკითხზე მწვავედ დაელაპარაკოს. **„რომელ საერთაშორისო ნორმებზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ვხედავთ ადამიანების ჩაგვრას, აბუჩად აგდებას. ეს ძალიან სახიფათოა და შეიძლება ისეთი დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რომ სიტუაცია უკონტროლო გახდეს. ორივე მხარეს არსებობს იარაღის გარკვეული რაოდენობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მიღებული ზარალის გამო გაბოროტებულია. ამიტომ დესტაბილიზაციის საფრთხე ნამდვილად არსებობს. პრაღაში უმწვავესი საუბარი იქნება. ამით დაიწყება და დამთავრდება დიალოგი“,** — ირწმუნება ზურაბ აბაშიძე.

სავარაუდოდ, რუსული მხარე პრეტენზიებს უფრო მომზადებული შეხვდება, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება შეხვდა რუსულ პროვოკაციებს. დაბნეული მთავრობის წარმომადგენლები იმედებს საერთაშორისო თანამეგობრობაზე ამყარებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი გაკვეთილების მწარე გამოცდილებაც გვაქვს.

შედარებით პრაგმატული ჩანს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, რომელიც საერთაშორისო მისიების ჩართვას გეგმავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ამასთანავე დასძენს: **„დღემდე ამ მილსადენის ფუნქციონირებას პრობლემა არ შექმნია, მაგრამ თუკი „BP“ ვერ განახორციელებს თავის საქმიანობას, რა თქმა უნდა, ალტერნატიული შეთანხმება დაიდება. ეს არის დაახლოებით 1605 მეტრი. მილსადენი საქართველოს მფლობელობაშია, არის ჩვენი საკუთრება და გაზისა და ნავთობის კორპორაციის ბალანსზე“.**

გუშინ საგანგებო შეხვედრა გამართა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლებთან, ასევე შეხვდა ევროკავშირის მონიტორინგის მისიას. **„როდესაც ვსაუბრობთ ამ პროცესზე, ძალიან მნიშვნელოვანია დავინახოთ და გავიაზროთ, რატომ ხდება ამ პროცესის ესკალაცია ქართულ-რუსული შეხვედრების მორიგი რაუნდის წინ. ასეთ დროს ხორციელდება იმ ტიპის ქმედებები, რომელიც ძაბავს სიტუაციას არა მხოლოდ ორ ქვეყანას შორის, არამედ ახდენს სიტუაციის ესკალაციას რეგიონში?!** — უკვირს პრეზიდენტის მრჩეველ თენგიზ ფხალაძეს.

საგარეო უწყება ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზებას. მაქსიმალურად ჩართულია დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო მისიები.

და ყველაფრის მიუხედავად, ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ გაახმიანა იდეა კიდევ ერთი მოლაპარაკების ახალი ფორმატის შექმნისა, რომელსაც საგარეო უწყება ენთუზიაზმით არ შეხვდა. **„ვფიქრობ, გუნდში მსჯელობა იქნება, რომ გამოინახოს რაიმე ახალი ფორმატი რუსეთთან დიალოგისთვის“,** — აღნიშნა მან. **„ახალ ფორმატზე, ან მის შექმნაზე საუბარი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში არ იგეგმება“,** — ასე გამოეხმაურა ვიცე-პრემიერის ინიციატივას საგარეო უწყება. ამ მძიმე ფონზე ნინო ბურჯანაძე ფიქრობს, რომ სასაზღვრო ზოლთან ბანერების განთავსება დიდი ხნის წინათ დაწყებული პროცესის გაგრძელებაა და ამაზე ადრე უნდა ეფიქრა ხელისუფლებას. **მოსკოვი მზად არის დიალოგისთვის, — ჯიუტობს ბურჯანაძე. ამის საპირწონედ კი ქართული ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები უფრო საგანგაშო განცხადებებს აკეთებენ. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ რუსეთის ქმედებები საქართველოში ნატოს სავარჯიშო ბაზების შექმნას და თავდაცვითი იარაღის შესყიდვას უკავშირდება. შემდეგი ნაბიჯი კი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის გზის გადაკეტვა იქნება, — პროგნოზირებენ პესიმისტები...**

თეა მოსია

◎ კიდევ ერთხელ დემოგრაფიულ კატასტროფაზე...

რატომ ვბერდებით სწრაფად?

გაეროს მონაცემებით, 2030 წლისთვის საქართველოში პენსიონერთა რიცხვი 1 მილიონს მიაღწევს

2015 წლის 1 ივლისის მონაცემებით, საქართველოში 701 440 პენსიონერია, 2014 წელს კი ქვეყანაში 680 000 პენსიონერი იყო. არადამაიმედებლად ჟღერს გაეროს პროგნოზიც, რომლის მონაცემებით, საქართველოში აქტიური დაბერების ტენდენციაა და 2030 წლისთვის პენსიონერთა რიცხვი მილიონს მიაღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდების რაოდენობა შემცირდება.

რატომ ვბერდებით სწრაფად? როგორია დემოგრაფების პროგნოზი და პენსიონერთა გაზრდილი რაოდენობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება?

დევი ხეჩინაშვილი, საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე: „სწრაფად დაბერება ეკონომიური თვალსაზრისით მძიმეა, მაგრამ სოციალურად კარგია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება. ეს უკეთესი სამედიცინო მომსახურების, უკეთესი კვების, ჰაერისა თუ სხვა ფაქტორების გავლენაა და ცალკე საკითხია. ზოგადად, მსოფლიოში ერთგვარი ტენდენცია შეიმჩნევა, რომ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყნებში ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა იზრდება. რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს ადამიანი, მით მეტია ჯანდაცვის დანახარჯები. მეორე მომენტია ის, რომ მძაფრად ვლინდება სოლიდარული საპენსიო სისტემები, რომელიც თაობათა შორის სოლიდარობაზეა დამოკიდებული. ახალგაზრდები საპენსიო შენატანებს იმ იმედით იხდიან, რომ როცა თავად დაბერდებიან, მათ შემდეგი თაობა პენსიას გადაუხდის. ამ ფორმულის დაცვა სულ უფრო რთული ხდება. საერთო შემოსავლების დიდი ნაწილი სწორედ პენსიაზე მიდის. ახლაც ძალიან დიდია საპენსიო დანახარჯები.“

ზვიად ტომარაძე, დემოგრაფიული ფონდის დირექტორი: „სწრაფად დაბერების ორ ძირითად მიზეზს ასახელებს — შობადობის შემცირება და ემიგრაციის გაზრდილი რაოდენობა: „საქართველო სწრაფად დაბერებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ყველაზე დაბერებულ 25 ქვეყანას შორის, საქართველო მე-14 ადგილზეა. ეს პროცესი 90-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობს. ბოლო წლებში შობადობის მხრივ ერთგვარი მატებაა, წელიწადში დაახლოებით 50. 000 ბავშვი იბადება ანუ პლიუსში ვართ. მაშინ ისმის კითხვა — სწრაფად რატომ ვბერდებით? მარტივი ახსნა აქვს — 1980-1989 წლებში, ანუ 10 წლის მანძილზე დაბადებულ ქალთა რაოდენობა 454 ათასს შეადგენდა. 2000-დან 2009 წლამდე კი 236 ათასი ქალი დაიბადა. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალთა რაოდენობა განახევრდა. 80-იან წლებში დაბადებული ქალების შობადობა 2004 წლამდე მიმდინარეობს, ხოლო 2020 წლიდან შობადობა იწყება 2000-დან 2009 წლამდე დაბადებულ ქალებში. ნათელია, რომ 2020 წლიდან შობადობა განახევრდება და კლებისკენ წავა. დემოგაფიული კუთხით კატასტროფული მდგომარეობა გველის. გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის 1 მილიონ 170.000 კაცით ვმცირდებით“.

სოსო არჩვაძე, ეკონომისტი: „2014 წლის საყოველთაო აღწერამ იმხელა დისონანსი შეიტანა ექსპერტების, მეცნიერებისა და ეკონომისტების გათვლებში, ბევრი რამის ხელახალი გადაანგარიშება და გააზრებაა საჭირო. დღეს ქვეყანაში პენსიონერის რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე ეს 1981 წელს იყო, ეს მაშინ, როცა საპენსიო ასაკი 5 წლით დაბალი იყო. ამიტომ, მოსახლეობა თანდათან ბერდება. ეს დამაფიქრებელია. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალგაზრდა თაობას უწევს მეტი რაოდენობის პენსიონერის შენახვა და სახსრების გამოყოფა. ამასთან, ეკონომიური პირობები იმის საშუალებას არ იძლევა, რომ ოჯახმა მეტი ბავშვი იყოლიოს. ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელია.“

როგორც ჩანს, სახელმწიფოს ხელშეწყობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდეს. ამასობაში კი, ვბერდებით.

სალომე გოგოხია

„ნაციონალებს ხმის ამოღების უფლება არა აქვთ“

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას მიაჩნია, რომ პარლამენტში ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაზე დიდი დარტყმა ამნისტიის გამოცხადებით მიიღო, რადგან თავისუფლების მანიფესტაციით წინა ხელისუფლების ფასადური დემოკრატიის დამარხვა მოხდა. დეპუტატი თვლის, რომ ნაციონალების „ლეგენდები“ აღარ მუშაობს და მათი დამახასიათებელი ნიშანი ყალბი პატრიოტიზმი და ფარისევლური გულმოწყალება გახდა.

ნაციონალური მოძრაობის წევრების პოლიტიკურ განცხადებებთან დაკავშირებით, for.ge ეკა ბესელიას ესაუბრა:

— რიგგარეშე სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ მმართველი გუნდი რუსეთის საპატიმროებში მყოფ იმ ქართველებზე არ ზრუნავს, რომლებიც ჯაშუშობის ბრალდებით არიან ბრალდებულნი. ამ საკითხზე რუსულ მხარესთან აწარმოებთ თუ არა მოლაპარაკებებს?

— წინა ხელისუფლებას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები როგორც ქართულ ციხეებში ჰყავდა გამომწყვდეული და სასიკვდილოდ გამეტებული, ასევე იყო რუსეთის ციხეებშიც. რუსეთის ციხეებში მყოფ პირებზე არც წიკლაურს და არც რომელიმე მის თანაგუნდელს არ უზრუნია, როდესაც მათ ამის სამართლებრივი და პოლიტიკური ვალდებულებები ჰქონდათ. ეს ადამიანები ღვთის ანაბარა იყვნენ მიტოვებულნი. მეამაყება, რომ თავისუფლების მანიფესტით, ქართული ციხეებიდან ადამიანები პატიმრობიდან გავათავისუფლეთ, რომლებიც თარგამაძისა და მისი მეგობრების „სულის ამოხდისგან“ გადავარჩინეთ.

ახალი ხელისუფლების პირობებში, აბაშიძე-კარასინის ფორმატში, რუსეთში დატყვევებული მოქალაქეების გადმოცემისთვის შესაბამისი პროცედურები დავიწყეთ. მოლაპარაკებების შედეგად, ქართულ მხარეს სამი ადამიანი გადმოეცა და დანარჩენ პირებთან დაკავშირებით, კონსულტაციები კვლავ გრძელდება.

— რუსეთის ციხეებში ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული სულ რამდენი პირი იმყოფება?

— პატიმრობაში ათზე მეტი პირი იმყოფება, რომელთა ვინაობა არ სახელდება, რადგან მათი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება ხდება. ეს თემა დახურული არ არის და იმედია, რომ კიდევ რამდენიმე ადამიანის გადმოცემა მოხდება. რაც შეეხება ეთნიკური ნიშნით გვარების ხსენებას, წიკლაურს ვეტყვი, რომ შკილნიკოვი გვარად სკილნიკოვია, რომელიც თავდაპირველად საქართველოს მოქალაქე იყო და შემდეგ, მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. ეს ე.წ. ენვერის საქმეა, რომელიც გახმაურებული იყო და საზოგადოებას ნანა ლეჟავას გამოძიება ახსოვს, სადაც აღმოჩნდა, რომ „ფლეშკაზე“ მხოლოდ მუსიკალური ნოტები იყო ჩაწერილი. ბოდვითი ბრალდებებით ხუთი მფრინავი გაასამართლეს, რომლებიც „აგვისტოს ომში“ მონაწილეობდნენ. ეს ადამიანები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდნენ, ისინი კი ჯაშუშობის ბრალდებით გაასამართლეს და თითქოს, მათ „ფლეშკები“ უპოვეს. სასამართლო პროცესი დახურული იყო, რომ საზოგადოებას სააკაშვილისა და მერაბიშვილის ლეგენდები არ გაეგო, თითქოს, ისინი ჯაშუშების წინააღმდეგ იბრძოდნენ. რეალურად, მათ ამ ადამიანებისგან იმ ინფორმაციის გაუვნებელყოფა სჭირდებოდათ, რომელიც მათ „აგვისტოს ომთან“ დაკავშირებით ჰქონდათ.

— რა ინფორმაციაზეა ლაპარაკი?

— საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჰქონდათ, რომელიც ომს უკავშირდებოდა. აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოში გამოძიება მიმდინარეობს, ჰააგის სასამართლოში კი, სისხლის სამართლის პროცედურების წარმოება ხდება. მფრინავებისა და ჯარისკაცების გარდა, მაშინდელმა ხელისუფლებამ ქონების წართმევის გამო, ჯაშუშობა ბიზნესმენებსაც დააბრალა. მათ შორის გალოგრეს. დღემდე კითხვები არსებობს და იმედი მაქვს, რომ სასამართლოს მეტი დამოუკიდებლობის პირობებში, ამ საქმეებზე განაჩენების გამოტანა ხელახლა მოხდება და მეტი დეტალი გამოაშკარავდება.

წიკლაურს, რომელიც პატრიოტულ ნოტაზე საუბრობს, არ სრცხვენია, რომ იმ ჯარისკაცებსა და მფრინავებზე საუბრობს, რომლებიც სიცოცხლის ფასად ტერიტორიულ მთლიანობას იცავდნენ? არ მახსოვს, რომ წიკლაური ომის დღეებში მოქალაქეობრივ ფუნქციას ასრულებდა. წითელ ხიდთან, რიგებში ეს ადამიანები ერთმანეთს ასწრებდნენ და ახლა, ომზე მესაუბრებიან? რამდენჯერაც ამ ომს ახსენებენ, იმდენჯერ მწარე პასუხს მიიღებენ. მათ ყოველთვის შევახსენებ იმას, გორსა და ცხინვალში ჩვენი ჯარისკაცები უპატრონოდ როგორ ეყარნენ. ის კადრები არასოდეს დამავიწყდება, როდესაც 12 აგვისტოს გამართული ტაშ-ფანდურის ფონზე, ჩვენი პატრიარქი საშიშ ზონაში შებრძანდა და ცხედრები გამოიტანა. 21-ე საუკუნეში ამდენი უსახელო და უცნობი ჯარისკაცი რომ გვყავს, რატომ გვყავს? წინა ხელისუფლებამ ის მეომრები არ იცოდა, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ და დაიღუპნენ?

— თქვენ ნაციონალებს შეცდომებზე მიუთითებთ, ისინი კი პატრიოტიზმზე მიგითითებენ...

— მათ თითის გაშვერას არ მივიღებ და ეს ის თემაა, რომელზეც მათ ხმის ამოღების უფლება არა აქვთ. მათ კონსტიტუციაც კი დაარღვიეს, როდესაც საომარი მოქმედებები ისე გამოცხადდა, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა. კონსტიტუცია და პარლამენტი რომ არსებობს, მოგვიანებით გაახსენდათ და გადაწყვეტილებაც მერე მიიღეს. ჩვენი მოსახლეობა თავდამსხმელს შეატოვეს. ისინი ამ თემაზე ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდნენ და რადგან მათ უტიფრობას საზღვარი არა აქვს, ისინი ჩემგან პასუხს ყოველთვის მიიღებენ.

— აგვისტოს ომზე გამოძიება უკვე სამი წელია, მიმდინარეობს, დასკვნა რატომ არ იდება?

— გამოძიება მიმდინარეობს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოქტომბრის რეზოლუცია არსებობს, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ ევროსაბჭომ მიიღო. დოკუმენტის მეშვიდე-მერვე პუნქტში საკმაოდ მძიმე ჩანაწერი გაკეთდა და ამას ხმა ნაციონალური მოძრაობის დელეგაციამ მისცა. ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით მძიმე პუნქტებია, რომელიც შეუძლიათ, ნაციონალებმა კარგად წაიკითხონ. ისინი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობენ, მაგრამ თავდაცვიდან თავდასხმაში გადასვლა არ გამოუვათ, რადგან მათ მიმართ პოლიტიკურ-მორალური პასუხისმგებლობის კითხვებს ყოველთვის დავსვამთ.

— თქვენ ამნისტიას დადებით მოვლენად აფასებთ, თქვენი ოპონენტები კი, წამოძახების ფორმით ამნისტიას შიგადაშიგ გახსენებენ და თქვენს სახელს ცუდი რაკურსით წარმოაჩენენ. რის მიღწევას ცდილობენ?

— ეს არ მიკვრის, რადგან პარლამენტში ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაზე დიდი დარტყმა ამნისტიის გამოცხადებით მიიღო. ეს მათი ფასადური დემოკრატიის დამარხვა იყო. როდესაც ჩვენ ვთქვით, რომ სააკაშვილის რეჟიმს 215 პოლიტპატიმარი ჰყავდა, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან „დემოკრატიის შუქურის“ მითი გაქარწყლდა. ნაციონალების თავდასხმის ობიექტი რომ ვხდები, ეს არ მიკვირს. ამნისტიის ერთ-ერთი ავტორი მე ვიყავი და ამით სულ ვიამაყებ. ნაციონალებისთვის ის სულ სამარცხვინო იქნება, რომ ამნისტიას ვეტო დაადეს და ადამიანების პატიმრობიდან გათავისუფლებას ხმა არ მისცეს. სხვათა შორის, ამნისტიის სიკეთით მერაბიშვილმა და ახალაიამ კარგად ისარგებლეს. ჩვენს შორის მორალური წყალგამყოფია და ისინი ავად რომ მახსენებენ, ეს კარგია. მათი თავდასხმის ობიექტი რომ ვხდები, ეს საერთოდ არ მაღელვებს.

— თქვენ თქვით, რომ ნაციონალები მწარე პასუხებს ყოველთვის მიიღებენ, მაგრამ ამ მხრივ, უმრავლესობის წევრები თავს დიდად არ წარმოაჩენენ და მათთან კამათი ზოგჯერ მარტოს გიწევთ...

— სამწუხაროდ, მათ პასუხები უფრო მეტად უნდა მიიღონ და კარგი იქნება თუკი, ისინი პასუხს ყველასგან მიიღებენ.

— სხდომებზე გამოსვლისას ნაციონალები რადიკალურ განცხადებებს ხშირად აკეთებენ, თუმცა, მიმდინარე კვირას უფრო გააქტიურდნენ. ეს ოდესაში, სააკაშვილთან გამართულ შეხვედრას ხომ არ უკავშირდება?

— უკრაინაში მათი ყოველი ვიზიტი კომკავშირული დავალებებით გამოირჩევა ხოლმე. ისინი „კმარას“ ცნობილ მეთოდებს იყენებენ. მათი დამახასიათებელი ნიშანი ყალბი პატრიოტიზმი და ფარისევლური გულმოწყალება გახდა. კარგად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ფარსია. ის დავალებები კარგად ჩანს, რომელსაც სააკაშვილი იძლევა. პარტიაში საკმაოდ დიდი აურზაური და ქაოსი აქვთ. ბოლო პერიოდში ვერ შეთანხმდნენ, პარტიის აღმარულებელი მდივანი ვაშაძე უნდა ყოფილიყო თუ რატიანი. მათი დაპირისპირებები ნაკლებად მაინტერესებს. როცა სასაცილო კანდელაკი ეროვნულობაზე საუბრობს, მას ავიწყდება, რომ თავად ყველაზე ანტიეროვნული და ანტისახელწიფოებრივები იყვნენ. კანდელაკი იმდენად არასერიოზული და სასაცილო პიროვნებაა, რომ მასზე ვერ ვბრაზდები.

— კანდელაკმა კი გაგაკრიტიკათ და თქვა, რომ „ქართული ოცნება“ მტრებს ემსახურება, რადგან მთავრობის მხრიდან პრორუსული მედია საშუალებები ფინანსდებიან, რაც საკუთარი განცხადების დასტურად მოყავს...

— ყველაფერი, რასაც კომიკური კანდელაკი ამბობს, უკუღმა უნდა გადმოვატრიალოთ და მოვლენებს საწინააღმდეგოდ შევხედოთ. მისი განცხადებების სერიოზულად აღქმა არ შემიძლია. გვახსოვს, სააკაშვილი რუსულ ინტერესებს როგორ მოემსახურა, როდესაც საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ხელში აღმოჩნდა. რუსეთს ვინ მოემსახურა, ეს ფაქტებით ჩანს და მათი ლეგენდები აღარ მუშაობს.

თეონა მანაგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

მადლობა, მათ, ვინც სტიქიის დროს გვერდით გვედგა!

თბილისში, 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობისთვის, 6 605-მა საჯარო მოხელემ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მადლობის სიგელი მიიღო, 40 კი — სახელმწიფო ჯილდოზეა წარდგენილი. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სახელმწიფო ჯილდოს მისაღებად პრემიერმა პრეზიდენტს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების 40 თანამშრომელი წარუდგინა.

მადლობის სიგელები კი გადაეცათ თბილისის მერიის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის, იუსტიციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, დიასპორის, ეკონომიკის, ლტოლვილთა და განსახლების, სპორტისა და ახალგაზრდობის, საგარეო საქმეთა, გარემოს დაცვის, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროების წარმომადგენლებს; ასევე, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შესყიდვებისა სახელმწიფო სააგენტოსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს. სტიქიიდან ერთი თვის თავზე, მთავრობის მეთაური, სახელმწიფოს გვერდით დგომისთვის, კიდევ ერთხელ მადლობას უხდის ყველა ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა სტიქიის შედეგების დროულ და ეფექტურ ლიკვიდაციაში.

◎ კაკალ გულში

წესიერიანი ოჩაზები

● ბილეთები ვაკის პარკში რატომ იყიდება? სტადიონს სალაროები არა აქვს? კომუნისტების დროს 75 000 ადგილი იყო სტადიონზე. ცეკა, ტეკა, დ.ა.შ რამდენს წაიღებდა? კაი 30 000 ლევად იყო გაცემული. დანარჩენი 45 000 ხომ იყიდებოდა ჩვეულებრივად? თან მერე ტაბლოზე ეწერა მატჩს 88 000 ესწრებაო!

24 000 ბილეთი ვერ გაყიდულა და ევროკავშირი გვინდა?

● შეიძინეთ „ქრონიკა+“-ის ახალი ნომერი და საჩუქრად მიიღე სუპერთასის ორი ბილეთი სარბენ ბილიკებზე ელისო პოსტერთან ერთად!!!

● „არც მთლად სისულელედ“, ვუყურებ ნინოს ამ ქმედებას. პირიქით, ძალიანაც სწორია! ვითომ და რატომ არ უნდა იყოს დიპლომატიური ურთიერთობა, აბა გაბუტული ბავშვების როლში უნდა ვიყოთ? ასე რაღაც შანსი მაინცაა მიწების დაბრუნების.

ეგ რუსეთუმეობა მიშამ დაამკვიდრა, რომ არანაირად მისთვის არ მოეთხოვათ მიწების დაბრუნება.

სად უფრო მეტი შანსია კომპრომისის, რუსეთზე გაბუტული ყურება, თუ თუნდაც რამე ურთიერთობის აღდგენა?

● ფედერაციის სიებს არ აღიარებს ქართველი ერი!

მოვითხოვ, მოწვეულ იქნას სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა, დელეგატებით ყველა კუთხიდან და განხილულ იქნას ერთადერთი საკითხი - რეფერენდუმის ჩატარება სუპერთასზე დასასწრები ბილეთების მფლობელთა ვინაობის დასადგენად!!! ამ ხალხს, მსოფლიო დონის ფეხბურთელები იხილავენ და თავი არ უნდა შევირცხვინოთ!

● თითქმის კილომეტრით გადმოუწევიათ საზღვარი რუსებს. არც კი ვიცოდი. განგაში უნდა გამოცხადდეს. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალიდან უკვე რამდენიმე ასეულ მეტრში არიან. ჩვენ კი ბილეთებიო და ფეხბურთიო. მგონი გადასული ვართ ჭკუიდან. მგონი გავგიჟდით.

● კვირის ფრაზა:

„ხალხის რჩეულები ვართ“

დავით უსუფაშვილი.

● ამერიკული „დემოტრაკია“

აშშ-ში ზედიზედ აპატიმრებენ მასწავლებელ ქალბატონებს მოსწავლეებთან სექსუალური ურთიერთობების გამო. ამ ბოლო დროს ჯერ არც ერთი ჰომოსექსუალი არ დაუპატიმრებიათ ამ მიზეზით. ალბათ ეს ტენდენცია იმაში გადაიზრდება, რომ ნატურალების სკოლები ცალკე გამოიყოფა და ერთსქესიანთა ბავშვებთან ნატურალებს არ დაუშვებენ!!! ჩემი აზრით ეს ტენდენციაა ნატურალების დემონიზაციისა,ვერ დავიჯერებ, რომ ერთდროულად ამდენმა „ქალმა პედაგოგმა“ ამერიკაში გადაწყვიტა სექსუალური ურთიერთობა მოსწავლეებთან!!!

ისეკენ მასწავლებლები მაინც გამოეგზავნათ აქ ბალნებისთვის ამ დალოცვილებს, პაჩკა-პაჩკა პედერასტ ფლეტჩერებს რომ აგზავნიდნენ?!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

ზნეობრივად ამაღლებული ლიდერი

პროფესორი ალიოშა ბაკურიძე - 60

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. ალიოშა ბაკურიძე 60 წლისაა. მთელი შეგნებული ცხოვრება მან პატიოსან შრომას, მეცნიერებას, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოახმარა. წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, სხვადასხვა დროს მას ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები. ბოლო 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. წინამდებარე წერილიც ბატონ ალიოშაზე, როგორც ხელმძღვანელზე აქცენტირებითაა დაწერილი და ეხება მისი პორტრეტის დამახასიათებელ შტრიხებს.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 35 წელზე მეტ ხანს ვიმუშავე. ამ პერიოდში 10 რექტორი გამოიცვალა და მათი საქმიანი და პიროვნული თვისებები თანამშრომელთა თუ ფართო საზოგადოების მიერ უკვე შეფასდა კიდეც. სხვა რექტორების შესახებაც მოიპოვება სათანადო (ზეპირი თუ წერილობითი) ინფორმაცია. არსებობის მანძილზე უნივერსიტეტს (პედაგოგიურ ინსტიტუტს) ხელმძღვანელობდნენ აღიარებული, ცნობილი რექტორები, იყვნენ ნაკლებად ცნობილებიც. შემიძლია ვთქვა, რომ პროფ. ალიოშა ბაკურიძე ჩვენი სასწავლებლის ისტორიაში იყო ერთ–ერთი საუკეთესო რექტორი. მან უნივერსიტეტი ჩაიბარა მეტად მძიმე, შეიძლება ითქვას, კრიზისულ სიტუაციაში.

როგორც ცნობილია, ბატონ ალიოშამდე რექტორები იცვლებოდნენ ყოველწლიურად (4 წელიწადში გამოიცვალა 4 რექტორი). ამის გამო (და არა მხოლოდ) სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა თვითდინებამდე თუ არ იყო მისული, საკმაოდ არასტაბილურ ხასიათს ატარებდა. უნივერსიტეტის ავტორიტეტიც ძალიან შელახული იყო. ასეთ ვითარებაში პროფ. ალ. ბაკურიძის სახით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს რექტორად მოევლინა სწორედ შესაფერისი პიროვნება, უმაღლესი სკოლისა და, საერთოდ, განათლების სისტემის უბადლო მცოდნე, შესანიშნავი ორგანიზატორი, შემოქმედებითად მოაზროვნე, შედეგზე ორიენტირებული ხელმძღვანელი და მეცნიერი, რომელმაც ჩიხიდან გამოიყვანა ჩვენი უნივერსიტეტი, სწორ გზაზე დააყენა მისი განვითარება, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა.

ბატონ ალიოშას ხელმძღვანელობის პერიოდში ამაღლდა უნივერსიტეტის ავტორიტეტი. იგი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სასწავლებელი საქართველოში, გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა, გამრავალფეროვნდა და დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამები, გაფართოვდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამების არეალი. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისითაც დავიკავეთ მოწინავე პოზიციები, რაც გამოავლინა უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო დისერტაციების შემოწმებამაც.

ბატონ ალეკოსთან სამსახურებრივად ახლო მყოფნი უშუალოდ ვხედავდით, თუ როგორ დაუღალავად მუშაობდა იგი უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-განმტკიცებაზე. დღენიადაგ ეძებდა ხელმოკლე სტუდენტების დახმარების გზებს, პროფესორ-მასწავლებელთა (და არა მხოლოდ) სახელფასო მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებებს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის წარმართვის ორგანიზატორული და პრაქტიკული საკითხების ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად, მან დეტალურად იცოდა უნივერსიტეტის ფინანსებთან და მათ მოზიდვა–განკარგვასთან დაკავშირებული ნიუანსები. მას ყოველთვის ჰქონდა თავისი (მიმდინარე და წინმსწრები) გაანგარიშებები, რომელიც ადეკვატურად ასახავდა არსებულ და სამომავლო ვითარებას. იგი მთლიანად და ყოველმხრივ ფლობდა უნივერსიტეტში სიტუაციას, იყო ჭეშმარიტი ხელმძღვანელი.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში და რეალურ ცხოვრებაშიც ცნობილია ხასიათისა და ლიდერის არაერთი ტიპი. ბატონი ალეკო, ჩემი დაკვირვებით, არის გამოკვეთილად საქმეზე ორიენტირებული, მტკიცე ნებისყოფის მქონე, პრინციპების ერთგული, საზოგადოებრივი ხასიათის ტიპი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს ქვეყნისა და საქმის ინტერესებს. იგი ლიდერის ყველა თვისებით შემკული პიროვნებაა. მას შეუძლია ამაღლდეს პირად წყენაზე, უსამართლობაზე და მავანის უზნეო საქციელს ზნეობრივი ქმედებით უპასუხოს.ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც მან ზოგიერთ უკეთურს სიკეთით უპასუხა, დაეხმარა, ხელი შეუწყო მუშაობაში. და ეს მაშინ, როდესაც შეეძლო სხვაგვარადაც (იქნებ უფრო სამართლიანად) მოქცეულიყო. რა მოსატანია და თვითმხილველები ადასტურებენ, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ის არამზადებს ფიზიკურადაც გასწორებია და არც თუ ისე ახალგაზრდულ ასაკში.

საგულისხმოა, რომ ბატონი ალეკო რამდენადაც ზრუნავდა საუნივერსიტეტო საკითხებზე, იმდენად მოკრძალებული იყო პირად ცხოვრებაში, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საკუთარ პერსონას. წლების მანძილზე უნივერსიტეტის მანქანით არ უსარგებლია, მძღოლი არ აუყვანია. დადიოდა საკუთარი მანქანით. რექტორის ხელფასიც სრულად იშვიათად აუღია, ვინაიდან მის ნაწილს ქველმოქმედებას ახმარდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ დროს მას ოჯახი თბილისში ჰყავდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონმა ალეკომ ბათუმის უნივერსიტეტისათვის ლამის თავი გასწირა.

ბატონი ალიოშა ყოველმხრივ გამართული და, როგორც ვთქვით, ზნეობრივად ამაღლებული პიროვნებაა. ზემოაღნიშნულთან ერთად ამას ადასტურებს ასეთი საგულისხმო ფაქტიც: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის პირველი ვადის დამთავრების პერიოდში (როდესაც მას უნდოდა დაბრუნებულიყო თბილისში), გამოცხადდა რექტორის არჩევნები თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. იყო მოლოდინი, რომ ბატონი ალეკოც შეიტანდა განცხადებას, რასაც ურჩევდნენ კიდეც. მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ განცხადება უკვე შეტანილი ჰქონდა მის მეგობარსა და კოლეგას, მას ამის გაკეთება არც კი უფიქრია. თითქოს უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ ეს კარგად ახასიათებს ბატონ ალეკოს პიროვნებას, მის კაცობას, როგორც იტყვიან ხოლმე.

სწორედ აღნიშნული თვისებების გამო არ უნდოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი გაშვება. მე არ მახსენდება შემთხვევა, როდესაც რექტორს სამჯერ მიემართოს აკადემიური საბჭოსათვის თხოვნით განთავისუფლების თაობაზე და სამივეჯერ უარი მიეღოს. როგორიც არ უნდა იყოს მავანის აზრი, უნივერსიტეტი რეალურად ვერ ელეოდა პროფ. ალ. ბაკურიძეს. მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მან მაინც, მეორე ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე, დატოვა რექტორის საკავრძელი, თუმცა, უკვე დაიმკვიდრა ღირსეული რექტორის სახელი. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად გახსენდება კაცს მისი შთამბეჭდავი სიტყვა ბათუმის დრამატულ თეატრში უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე. ბატონ ალეკოს ჰქონდა ყველა საფუძველი კიდევ უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით წარმსდგარიყო საზოგადოების წინაშე უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეზეც, რომელიც სრულდება მიმდინარე წელს. მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოხდება და მხოლოდ სტუმრის სტატუსით წარმოთქმულ სიტყვას თუ მოვისმენთ.

პროფ. ალ ბაკურიძე ცნობილი მეცნიერია, იგი აღიარებული ფარმაცევტია, გამოირჩევა მომავალ მეცნიერებთან ნაყოფიერი მუშაობითაც. აღნიშნულს ადასტურებს მისი სამეცნიერო წარმატებებისა და შრომითი ბიოგრაფიის ზედაპირული გაცნობაც. ჩემთვის, არაპროფესიონალისთვის ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი იყო 2014 წლის ივლისში, ბათუმში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელ სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენება ბოლო პერიოდის მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, რამაც სასიამოვნოდ განაცვიფრა გამოჩენილი მეცნიერები, დამსწრე საზოგადოება. ეს ჩანდა დასმულ შეკითხვებში, მოხსენების შეფასებასა და ასეთი მუშაობის გაგრძელების სურვილებში. ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, ბატონ ალეკოს მოკრძალება და თავმდაბლობა (იქნებ ზედმეტიც) მისი დიდი კულტურის მაჩვენებელია მხოლოდ.

ბატონი ალეკო იუბილარია. იგი 60 წლისაა. იუბილარს, ბევრ სიკეთესთან ერთად, ჩვეულებრივ, ეუბნებიან, რომ ის ასაკზე უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ამჯერად მე ამას ვერ ვიტყოდი. ბატონი ალეკო თავისი ასაკის შესაფერისად, იქნებ, უფრო ასაკოვნადაც გამოიყურება და ეს მისი კიდევ ერთი ღირსებათაგანია, ვინაიდან აქ გარეგნული მხარე როდია მთავარი. დიდი შემართების მქონე, სულიერად მუდამ ახალგაზრდა ბატონი ალეკო თავისი მოქმედების წესით, დამჯდარი გონებით, ცოდნითა და გამოცდილებით წინ უსწრებს თავის ასაკს. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი ყოფილი რექტორი ყოველთვის ასეთი იყო. იგი თავისი ერუდიციით, გაწონასწორებული ხასიათით, საქმისადმი დამოკიდებულებით, ცოდნა–გამოცდილებით ყოველთვის მაღლა იდგა თავის ასაკზე და იმაზე მეტს აკეთებდა, ვიდრე ასაკი მოითხოვდა. გვჯერა, რომ ასე იქნება მომავალშიც.

ბატონო ალეკო, გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ჩვეულ წარმატებებსა და დიდ ადამიანურ ბედნიერებას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

◎ ალიან-ჩალიანი

რიჩარდ ნორლანდი: პატრიარქი არის დიდი ადამიანი, ჭეშმარიტად დიდი სასულიერო ლიდერი

პატრიარქი დიდი ადამიანი და ქართული მართლმადიდებლური თემის ჭეშმარიტად დიდი სასულიერო ლიდერია, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა სვეტიცხოველში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ამერიკის ელჩმა კომენტარი გააკეთა სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია მეორის მიერ ამბიონზე რიჩარდ ნორლანდისა და მისი მეუღლის მოხსენიებასთან დაკავშირებით. როგორც ამერიკის ელჩმა განაცხადა, საქართველოში სამსახურის დროს ყველაზე მეტად მისთვის ალბათ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ საშუალება მიეცა გაცნობოდა მის უწმინდესობას. „მეხილა პირადად რამდენად დიდ როლს თამაშობს იგი ქართულ საზოგადოებაში და რამდენად აფასებენ მას ქართველები. ძალიან დიდი პატივი იყო ჩემთვის ის, რომ დღეს პატრიარქმა ქადაგებისას ახსენა ჩემი და ჩემი მეუღლის გამგზავრების შესახებ. პატრიარქი არის დიდი ადამიანი, ჭეშმარიტად დიდი სასულიერო ლიდერი ქართული მართლმადიდებელი თემისა“, — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

საქართველოში დონალდ ტუსკის ვიზიტი გაუქმდა

ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა პრებენ აამანმა განაცხადა.

„თქვენ იცით, რომ საბერძნეთთან დაკავშირებით გაიმართა რამდენიმესაათიანი სამიტი. ახლა წინ კიდევ ბევრი შეხვედრა და მოლაპარაკებებია. ასე რომ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვიზიტი გაუქმდა“, — განუცხადა პრებენ აამანმა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე უცნობია, როდის შედგება დონალდ ტუსკის საქართველოში ვიზიტი.

საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი საქართველოში 14 ივლისს უნდა ჩამოსულიყო. ვიზიტის პირველ დღეს ბათუმში დაგეგმილი იყო შეხვედრა გიორგი მარგველაშვილთან, 15 ივლისს კი, თბილისში შეხვედრები - საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

ინტერპრესი

მიშა გომიაშვილი:

თუ მამაკაცი ამბობს, რომ ნაპოლეონია ან მარსიელი – მკურნალობენ... თუ ამბობს, რომ ქალია – მის „უფლებებს“ იცავენ?



მსახიობი და რეჟისორი მიშა გომიაშვილი თავის „ფეისბუქ“-გვერდზე ვრცელ სტატუსს აქვეყნებს, სადაც ძველი ცივილიზაციებისა და მათ კულტურაში მამათმავლობის როლის შესახებ ანალიზს აკეთებს.

გომიაშვილის განცხადებით, აშშ-ში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება დემოკრატიის განმსაზღვრელი არ არის.

„ტოლერანტობა, ანუ მისი აღმატებულება „დემოკრატია“ – დემოტრაკია...

ძველი რომი მაშინ დაეცა, როცა დაიწყო მორალის და ზნეობის გახრწნა... მანამდე, საბერძნეთი დაეცა, სადაც მამრობითი სიყვარული ითვლებოდა ნორმად... საით მივექანებით?...

ჯერ ითხოვდნენ მხოლოდ ტოლერანტობას!

და მიაღწიეს კიდეც... ამას „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ მიღებამაც შეუწყო ხელი და ჩვენმა ბუნებრივად ტოლერანტობამ, ჩვენ ხომ ეს გენეტიკურად და ისტორიულადაც მოგვდევს: ყველას და ყველაფრის მიმტევებლობა...

ახლა უკვე ითხოვენ თანასწორობას! ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას... შვილების აყვანას...

შემდეგ მოგვთხოვენ არა მარტო აღიარებას, არამედ ხელი შევუწყოთ მათი „კულტურის ღირებულებებს“!!!

შემდეგ მოგვთხოვენ იძულებით მონაწილეობას!!!

აი, მერე უკვე დასჯას!!! ყველა, ვინც არ ეთანხმება გეების „იდეოლოგიას“, დაისჯება...

ამოფარებულები არიან „ადამიანის უფლებებს“ და ამ „ანტიდისკრიმინაციულ კანონს“ და მიდი, მოვდივარ... ახლა ალბათ ფიქრობენ ახალ კანონზე... როგორ დააკანონონ ქორწინება საკუთარ თავთან... პრობლემა ის არის, განქორწინების ჟამს როგორ უნდა გაიყოს ქონება... აი, მანდ იჭედებიან... მერე ინცესტიც ვაღიაროთ.... ამასაც მოგვთხოვენ მალე!!! შემდეგი მოთხოვნა იქნება პედოფილიის აღიარება-დაკანონება.... თუ არ დავუკანონებთ, ატეხავენ კაკანს (ეს მათ არ უჭირთ), რომ „მათი უფლებები“ იზღუდება... რომ ეს დისკრიმინაციაა?...

ახლა გვეჩვენება, რომ ეს სისულელეა და ეს საშინელება ჩვენ არ შეგვეხება, მაგრამ 15-20 წლის წინათ ჰომოსექსუალიზმის თემაც ასევე მიუღებლად და საშინელებად მიგვაჩნდა...და ერთსქესიანთა ქორწინებაც... ამ პროცესს ბოლო არა აქვს, ამ პროცესის ბოლო ჯოჯოხეთია...

ბევრი ამბობს – ნუ აყვები, ამით აპიარებ... მაგათაც ეს უნდათო.... მართალია, მათაც ეს უნდათ, რომ არ შევიმჩნიოთ, გავატაროთ, ყურადღება არ მივაქციოთ... და ამ დროს თავიანთ ყოვლად ამაზრზენ ზრახვებს, რასაც თავიანთ გეი-მანიფესტში ქადაგებენ, უპრობლემოდ მიაღწიონ. ამ ყველაფერს გაცილებით ღრმა ფესვები და ბოროტი მიზნები აქვს. შეგიძლიათ, თავადაც დარწმუნდეთ:

მაიკლ სვიფტის გეი-მანიფესტი, რომელიც წარმოადგენს ნორმალური სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი სიძულვილსა და მტრობას, ადამიანური ღირსების დამცირებასა და აღვირახსნილ შეურაცხყოფას, მათი ფიზიკური განადგურებისკენ მოუწოდებს! ლგბტ იდენტობის მესვეურებს შეკითხვა რომ არ გაუჩნდეთ, ამ მანიფესტის ორიგინალსაც წარმოგიდგენთ მცირე შემოკლებით http://legacy.fordham.edu/halsall/pwh/swift1.asp აი, ეს არის მათი მიზანი და მათი რეალური სახე...

The Gay Manifesto

მაიკლ სვიფტი http://legacy.fordham.edu/halsall/pwh/swift1.asp

ჩვენ სოდომური ცოდვით დავკავდებით თქვენს ვაჟიშვილებთან, რომლებიც თქვენი უსუსური მამაკაცურობის, ცარიელი ოცნებებისა და ჩვეულ სიცრუის სიმბოლოს წარმოადგენენ. ჩვენ მათ ვაცდუნებთ თქვენსავე სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კინოთეატრების ტუალეტებში, სამხედრო კაზარმებში, მოტელებში, მამაკაცთა კლუბებში და პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც კი მამაკაცები ხვდებიან სხვა მამაკაცებს. ისინი ჩვენი საყვარლები გახდებიან და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებებს. ისინი ჩვენი იმიჯის რევანშირებას ახდენენ. მათ ექნებათ ჩვენი მწველი სურვილი და გაგვაღმერთებენ ჩვენ.

ქალებო, თქვენ ამბობთ, რომ კაცებთან ცხოვრების ნაცვლად ერთმანეთთან ცხოვრება გსურთ. მაშინ, მიდით და იცხოვრეთ ერთმანეთთან. ჩვენ მივანიჭებთ თქვენს კაცებს მათთვის აქამომდე არნახულ სიამოვნებას, იმიტომ რომ ჩვენ თვითონაც უპირველესად მამაკაცები ვართ, და მხოლოდ მამაკაცმა იცის, თუ ჭეშმარიტად როგორ ასიამოვნოს მეორე მამაკაცს. მხოლოდ მამაკაცს შეუძლია, ჩაწვდეს მეორე მამაკაცის გრძნობებისა და განცდების სიღრმეს, გაუგოს მის გონებასა და სხეულს.

ყველა კანონი, რომლებიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმს, გაუქმდება. ამის ნაცვლად მიღებულ იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ყველა ჰომოსექსუალისტმა მხარი მხარს უნდა მისცეს, როგორც ძმებმა, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მხატვრული, ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიზეიმებთ, როდესაც შევძლებთ ჩვენს ბოროტ ჰეტეროსექსუალური მტრისათვის ჩვენი ერთიანობის ჩვენებას.

თუ თქვენ გაბედავთ და გვიწოდებთ ჩვენ გეიის ან პედერასტებს, ჩვენ განვგმირამთ თქვენს მხდალ გულებს და წავბილწავთ თქვენს მკვდარ უბადრუკ სხეულებს.



ჩვენ მივუძღვნით ლექსებს მამაკაცებს შორის სიყვარულს. ჩვენ დავდგავთ სპექტაკლებს, რომლებშიც მამაკაცები ღიად ეალერსებიან მამაკაცებს. ჩვენ გადავიღებთ ფილმებს მამაც გმირებს შორის სიყვარულზე, რომლებიც შეცლიან თქვენს იაფფასიან, ხელოვნურ, სენტიმენტალურ, მოსაწყენ, ინფანტილურ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს, მათ, რომლებიც დღეს დომინირებენ კინოეკრანებზე. ჩვენ გამოვაქანდაკებთ ლამაზი ახალგაზრდა მამაკაცების, გაბედული ათლეტების ქანდაკებებს და დავდგამთ მათ თქვენს პარკებში, მოედნებზე და სავაჭრო რიგებში. მსოფლიო მუზეუმები გაივსება შესანიშნავი შიშველი ჭაბუკების გამოსახულებებით. ჩვენი მწერლები და მუსიკოსები მამაკაცებს შორის სიყვარულს მოდურს გახდიან და პრესტიჟულად აქცევენ მას, და ჩვენ ამას შევძლებთ, იმიტომ რომ ჩვენ ვართ ექსპერტები სტილის პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენ განვდევნით ჰეტეროსექსუალურ სამიჯნურო კავშირებს იუმორისა და სატირის მეშვეობით, იმ მექანიზმების გამოყენებით, რომლის გამოცდილებაც გაგვაჩნია.

ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ დაგვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთი სიმპათიური ჭაბუკები არიან. ჩვენ სილამაზის, ზნეობრიობისა და ესთეტიკის კულტის მიმდევრები ვართ. ყველაფერი მახინჯი, ვულგარული და ბანალური განადგურდება. ვინაიდან ჩვენ გაუცხოებულნი ვართ საშუალო კლასის ჰეტეროსექსუალური წრეებისთვის, ამიტომ შეგვიძლია, ვიცხოვროთ მხოლოდ წმინდა წარმოსახვის მიხედვით. ძალიან ბევრიც კი არაა საკმარისი ჩვენთვის. ჩვენი მომავალი დახვეწილი საზოგადოების მართვას განახორციელებს ელიტა, რომელიც შედგება პოეტ-გეებისაგან. ახალ ჰომოეროტიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თანამდებობების დაკავების პრეტენდენტების მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იქნება მათი ბერძნული ვნებით გატაცება. ყოველი ჰეტეროსექსუალური ავხორცობით დასნებოვნებული პირი ავტომატურად მოხსნილი იქნება თანამდებობიდან. ყველა კაცი, რომელიც დაიჟინებს სულელურ ჰეტეროსექსუალურობას, გასამართლდება ჰომოსექსულთა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ და გახდება შეუმჩნეველი.

ჩვენ გადავწერთ ისტორიას, რომელიც თქვენ გაავსეთ და დაამცირეთ თქვენი ჰეტეროსექსუალური სიცრუითა და დამახინჯებებით. ჩვენ აღვწერთ დიადი ლიდერებისა და მოაზროვნეების ჰომოსექსუალიზმს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მსოფლიო. ჩვენ მოვახდენთ ჰომოსექსუალიზმის, ინტელექტუალურობისა და შემოქმედების უწყვეტი კავშირის დემონსტრირებას, ჰომოსექსუალიზმისა – როგორც საწინდარისა ჭეშმარიტი კეთილშობილებისა და ნამდვილი სილამაზისა მამაკაცში.

ჩვენ გავიმარჯვებთ, იმიტომ რომ ჩვენ გვამოძრავებს დაჩაგრულთა მწარე ტანჯვა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იძულებულნი არიან, ითამაშონ საცოდავი, მეორეხარისხოვანი როლი თქვენს უგემოვნო ჰეტეროსექსუალურ შოუში. ჩვენც შეგვიძლია იარაღის სროლა და ბარიკადების აღმართვა. Michael Swift

როგორია?

ეს მანიფესტი წარმოადგენს ნორმალური სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი სიძულვილსა და მტრობას, ადამიანური ღირსების დამცირებასა და მათი მისამართით აღვირახსნილ შეურაცხყოფას, მათი ფიზიკური განადგურებისკენ მოწოდებას!

– ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს ეძლევათ უფლება, იშვილონ ბავშვი... და ბავშვთა უფლებებზე რატომ არაფერს ამბობთ? სად არის გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი? მათ უფლებებს დაცვა არ უნდა? არ ეკითხებით, უნდათ ორი დედა ან ორი მამა? ან ნომრიანი მშობლები? რა უნდა თქვას ბავშვმა? მე მყავს დედა და დედა? თუ მამა და მამა??? თუ მარტინ აუტენბოგაარდს ან მისნაირებს გინდათ, ჩაუგდოთ ხელში?.. მაშ რა უნდა ქნან ჰომოსექსუალებმა და ლესბოსელებმა?.. რა და აამოქმედონ ოჯახის ინსტიტუტის განადგურების ლგბტ მოძრაობის ტაქტიკური პროგრამა, ამით მოსპონ ცნება დედა და მამა... ვაშაა! ბავშვს არ ეყოლება დედა და მამა, ეს სიტყვები ხომ შეურაცხყოფენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა გრძნობებს, ამიტომ ბავშვს ეყოლება მშობელი №1 და მშობელი №2... და მერე ვინ იცის, მშობელი №3... №4....და .... პირველად ბავშვის აყვანის უფლება ჰომოსექსუალებს დართეს 14 წლის წინათ ნიდერლანდებში, ახლა იქ მოქმედებს პედოფილების ორგანიზაცია...ისინი ღიად ეწევიან თავიანთი იდეების პროპაგანდას (აბა როგორ გინდათ?... ადამიანის უფლებები!!! ტოლერანტობა!!! „ანტიდისკრიმინაციული კანონი“!!!)... შენ ხარ ჩემი ბატონი... მოკლედ, ამ ორგანიზაციის ბევრი წევრი იყო გასამართლებული ბავშვებზე სექსუალური ძალადობისთვის... იქაც კი, უაღრესად ტოლერანტულ ჰოლანდიაში, ასეთ მოდაზე გარყვნილებამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია და მარტინ აუტენბოგაარდი (Marthijn Uittenbogaard) პედოფილების ასოციაციის ლიდერი, იძულებული გახდა თავისი პედოფილების პარტია დაეთხოვა... თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, თავიანთი იდეების გამოხატვა შეუძლიათ თავისუფლად... ა? როგორია?... მარტინ აუტენბოგაარდი კმაყოფილია. ცოტა ხნის წინათ კი, მისმა პედოფილების ასოციაციამ მოიგო აპელაცია. ჰოლანდიის სასამართლოს აზრით, ეს ასოციაცია, თურმე არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისთვის, და კვლავ შეუძლია იარსებოს ლეგალურად! ვაშაა!!! უფრო მეტიც, დართეს ნება, განათავსონ ოფიციალურ ვებგვერდზე ბავშვების ფოტოები, პირადი სარგებლობისთვის... აი ეს არის „დემოკრატია“ „სიტყვის თავისუფლება“.

მეტსაც გეტყვით.... თუ მამაკაცი ამბობს, რომ ის ნაპოლეონია ან მარსიელი – მას მკურნალობენ... და თუ ამბობს, რომ ქალია, მაშინ მის „უფლებებს“ იცავენ???... ყველას უფლებებს იცავენ... საქართველოში მცხოვრები უმრავლესობის უფლებებს რა ვუყოთ? ჩვენს უფლებებს ვინ დაიცავს? რატომ ხდება უმრავლესობის იგნორირება? უმრავლესობის, რომელიც არ ეთანხმება, არ და ვერ იზიარებს, მიუღებლად მიაჩნია ერთსქესიანი ქორწინება, ერთსქესიანი „ოჯახების“ მიერ ბავშვების აყვანა... რატომ და სადამდე უნდა ვითმინოთ ლგბტ-სგან ჩვენი, უმრავლესობის შეურაცხყოფა??? ჩვენი ტრადიციების, ჩვენი სარწმუნოების, ჩვენი ეკლესიის და ჩვენი სულიერი მოძღვრის – ჩვენი პატრიარქის ლანძღვა-გინება???

„ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“, – ნათქვამია საქართველოს კონსტიტუციაში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპი მართებულად იყო ასახული ადრე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლში, რომელშიც ნათქვამი იყო: „ყოველ ადამიანს აქვს პირადი ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება“.

ამჟამად მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ამ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ პრინციპს რატომღაც იგნორირება გაუკეთა და დღეს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი ისეთი გავრცელებული ქმედებები, როგორიცაა „ცილისწამება და შეურაცხყოფა“ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად ქმედებად აღარაა მიჩნეული... და ამიტომაც, ვის რა მოადგება პირზე, დაუსჯელად ანთხევს ჩვენი პატრიარქის, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის თუ უბრალო რიგითი მოქალაქის მიმართ, დაუსჯელად ცილს წამებს, იცის, რომ არავინ მოსთხოვს პასუხს... ხშირად ამაში დიდად ხელს უწყობს მასმედია.. შეიძლება რამდენიმე „ლგბტ“-ს ხუშტურზე იაროს მთელმა ერმა თუ ბერმა?

თვითონ ცნება – უმრავლესობა და უმცირესობა გვიკარნახებს რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული უმრავლესობით და არა უმცირესობით... დავაყენოთ რეფერენდუმზე პრემიერის ინიციატივა, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. და ეს საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს.

...ისე, ერთი აზრი მომივიდა, ხომ ხედავთ, როგორი შესაძლებლობები გეძლევათ მსოფლიოს ბევრ კუთხეში, როგორი ფართო ასპარეზი, როგორი დიდებული ადამიანები გყავთ თქვენი უფლებების დამცველები, ცივ ნიავს არ მოგაკარებენ, ხელისგულზე გატარებენ, რა გინდათ აქ? ამ გოიმ ხალხში? ჩვენ ხომ ჩამორჩენილები ვართ, ქაჯები და ველურები... მუდამ თქვენს უფლებებს ვზღუდავთ, ჩვენს მიერ მარად დისკრიმინირებულები ხართ... რა გინდათ ასეთი ხალხის გვერდით, ჩვენ არ ვიმსახურებთ ამხელა ბედნიერებას, რომ თქვენს გვერდით ვიცხოვროთ..... როგორ მოგეფერათ თქვენი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, ხომ გაიგონეთ, რა თქვა... – „რომ სწორედ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვა არის ცივილიზებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ნიშანი და ის უნდა იდგეს ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა“-ო... და დაამატა, რომ „გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნაკადს“ –ოოო... ცხოვრების ძირითად ნაკადსო“... მეტი რა თქვას ახლა კაცმა, აჰა, კიდევ დააყოლა – „მათი მოწინააღმდეგეები კი მარგინალები არიან“... ეგ ჩვენა ვართ... – „თქვენ უმრავლესობა ხართ“-ო, – „ისინი კი, სხვები – ველურები“-ო! ეგ ჩვენზე თქვა ველურებიო...ჰო კიდევ თქვა – „ ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის გამო!“, მეტი რა თქვას?... გითხრათ კაცმა, მოეშვით მაგ ველურებს და მაგ არაადამიანებსო და ჩამოდით აქო... ჩემი თუ არ გჯერათ, დაუჯერეთ მაგ განათლებულ ადამიანს! წადით, ბაბუკებო, წადით, თქვენც დაისვენებთ ერთხელ და სამუდამოდ და ჩვენც... გვაცალეთ, რომ უთქვენოდ დარჩენილებმა ვზღოთ...“ – წერს გომიაშვილი.

მოამზადა
თეონა რამაზაშვილმა

ქალი, რომელიც არ იძირება

<u>– ვინ არის ელისო კილაძე? ქალი, რომელიც პროვოკაციებით თავის დანაშაულს მალავს, თუ რუსეთის აგენტი? – შევახსენებთ მკითხველს ამ და რამდენიმე სხვა შეკითხვას 2013 წლის 29 დეკემბერს ფეისბუქში განთავსებულ იმ სტატიიდან, რომელთა ამონარიდები დავიმოწმეთ ჩვენი გაზეთის წლევანდელი 4 აპრილის ნომერში დასტამბულ ნარკვევში „ბაქიბუქი, ბაკიბუკი და ფეისბუქი.“</u>

<u>მასში ნათქვამი იყო, რომ „ეს ქალბატონი</u> აქტიურად გვახსენებს თავს სკანდალური განცხადებებით და ხშირად იმდენ ურთიერთსაწინააღმდეგო რამ არის მის ბრალდებებში, რომ ძნელად დაეჯერება რაიმე, თუმცა, მას სკანდალის აგორება რომ ეხერხება, ეს ფაქტია. . .

რას ემსახურება ეს ყოველივე?

იქნებ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ეხმარება დესტაბილიზაციის მცდელობით?

იგი განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“ პირადი მიზეზების გამო.

არ არის გამორიცხული, რომ მისი გამოსვლები მისი პირადი რევანში იყოს საზოგადოების გასულელების ხარჯზე“...

ამ ამონარიდს ავტორისეული შეფასება და მომცრო კომენტარი ახლდა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: **საუბარი გვქონდა სიკეთისათვის შექმნილი პროფესიის – ჟურნალისტობის ნიღაბაფარებულ მედროვეზე, რომელიც მღვრიე მდინარებამ ზედაპირზე ამოატივტივა და დღემდე არ იძირება.**

რა არის ამის მიზეზი?

პასუხი უმარტივესია.

წყალი სათავეშივეა ამღვრეული, რადგან ქვეყანაში ჯერ კიდევ ისეთი უმძიმესი სიტუაციაა, რომ საზოგადოებრივი განწყობა თვითდამშვიდების საფუძველს ნაკლებად იძლევა და ბევრი ყოველგვარ უარყოფით მოვლენასა და ცილისწამებას ხარბად, ამასთან, განუსჯელად ეწაფება. ამით აიხსნება, რომ პოხიერი ნიადაგი შეიქმნა ადამიანთა, მათ შორის, ქვეყნის სხვადასხვა ეშელონის საჭისმპყრობელთა იოლად აცუნდრუკებისა და გასულელებისათვის.

* * *

წინა პუბლიკაციებში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ სხვადასხვა უმარტივესი მანიპულაციის გამოყენებით როგორ მოახერხა ქალმა, რომელიც არ იძირება, მღვრიე მდინარების ზედაპირზე ამოტივტივება: ქალაქისა და რეგიონის ხელმძღვანელებმა, რომლებსაც ეს აბეზარა ჭორიკანა ჯერ ჯართის ბიზნესში ჩაჯდომას და შემდეგ კი უამრავ სხვა უბედურებას აბრალებდა, ჯართის ბიზნესში თავად ჩააბეს. ეტყობა, ვარაუდობდნენ, რომ დაარწმუნებდნენ, არავისთან არავითარ წილში არა ვართო.

ცილისმწამებლური ჭორის გავრცელების გამო დაუსჯელობამ და სრულიად შეუსაბამო შედეგმა – პირველმა აშკარად საჩინო წარმატებამ მადა გაუცხოველა და სულ მალე გაცილებით მეტს მიაღწია – ფაქტობრივად, საჩუქრად მიიღო და დაისაკუთრა თითოეული ჟურნალისტისათვის უწმინდესი შენობა – ქუთაისის „პრესის სახლის“ ხუთსართულიანი კორპუსი, რომელიც მრავალ ორგანიზაციას, მათ შორის, რესტორანს მიაქირავეს და დღეს უკვე არავინ იცის,უპატრონოდ მიტოვებული და მოუვლელობის გამო გაპარტახებული ნაგებობის საკმაოდ სოლიდური შემოსავალი ვის და რა მიზნით ხმარდება.

...სამწუხაროდ, ქალბატონ ელისო კილაძის შოკისებური პროპაგანდა ძირითადად ჭორებზეა დამყარებული, ამიტომ სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის ია ანთაძის განცხადება: საზოგადოებამ ელისო კილაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობას ყოველთვის ეჭვის თვალით უნდა შეხედოს.

განვაგრძობთ საუბარს, რათა მკითხველებსა და განმკითხველებს ისევ შემოგთავაზოთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და საზოგადოების რიგით წარმომადგენელთა მასობრივი გასულელების მისეულ უამრავ მცდელობათაგან კიდევ რამდენიმე დამატებითი მაგალითი.

მაშ, ასე!

ფართო სამსჯავროზე გამოგვაქვს მღვრიე მდინარების სათავიდან შესართავამდე სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა დროს ნებისად ამოღებული კიდევ რამდენიმე ფრიად საყურადღებო სინჯი!

ცილისმწამებლის ვნებანი!

ეს ჰძღონდა სათაურად „ქუთაისის“ 2006 წლის ივნისში (ნომერი 11-19035) ამ გაზეთის რედაქტორის, ქალბატონ ნინო დეისაძის სტატიას, რომელშიც ელისო კილაძის მიერ საზოგადოების გასულელების მცდელობის უამრავთაგან ერთ კონკრეტულ მაგალითზეც არის საუბარი.

„2000 წლის შობის დღეები ახლოვდებოდა. გაზეთ „ქუთაისში“ სწორედ იმ დღეებში გამომიცხადეს ნდობა კოლეგებმა და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს.

პირველი ნაბიჯი, რაც გადავდგი, აუცილებლად ღმერთისკენ უნდა ყოფილიყო და საშობაო დალოცვა გამოვთხოვეთ მეუფეს. მისი ხელნაწერი ტექსტი მომიტანა ქალბატონმა ნუნუ მაჩალაძემ (გაზეთის ვეტერანი, პროფესიონალი ჟურნალისტი. – **ა. შ.**)

ის იყო ჩემი ხელმოწერით გაზეთის პირველი ნომერი უნდა დაგვესტამბა, რომ „ენაგადმოვარდნილი“ კილაძე სტამბაში თავს დასხმია გამომშვებს: გაზეთის ბეჭდვა შეაჩერეთ, მეუფე დააპატიმრეს (ზუსტ ციტირებას არ მოვიტან! <u>**ნ. დ.**</u>) და თბილისში წააბრძანესო.

დავიბენი. ვისთვის რა მეკითხა, არ ვიცოდი... რატომ არ უნდა დამებეჭდა მეუფის მილოცვა, გაუგებარი იყო...

ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, სამხარეო პოლიციას დავუკავშირდი. იქ არავინ არაფერი იცოდა.

დავუკავშირდი სატრანსპორტო პოლიციასაც. არც იქ არაფერი იცოდნენ. სამხარეო პროკურორმა კი ასეთი პასუხი გამცა: **„სასულიერო პირების, მით უფრო მეუფის ასეთი დაკავების უფლება არავისა აქვს და მსგავსი რამ კიდეც რომ მომხდარიყო, აუცილებლად შეგვატყობინებდნენო“.**

ახლა დანამდვილებით ვიცი, რისთვის ესაჭიროებოდა კილაძეს ასეთი დეზინფორმაცია. ბნელი ძალები დღესაც მართავენ მას და, საერთოდ, მთელი მისი „შემოქმედება“ მხოლოდ ცილისწამება და შანტაჟია. აბა, სხვა რა უკეთებია ჟურნალისტიკაში?

მსგავსი უამრავი ფაქტის დასახელება შეიძლება, მაგრამ ამას არ ვაპირებ ერთი უბრალი მიზეზის გამო – ჩვენი გაზეთი ძალიან პატარაა მისი ამდენი ცოდვის დასატევად.“

ჭორებში რომ ყელყელაობს,

ამგავი მოკვეთილი ხელისა

ახლა დროითა და სივრცით „სათავეს“ დაშორებული მღვრიე მდინარების შედარებით ახალი სინჯიც განვჩხრიკოთ, რათა ჟურნალისტური გამოძიების ამ ეპიზოდით კიდევ უფრო მივუახლოვდეთ პასუხს კითხვაზე, თუ რატომ არ იძირება მომაკვდინებელ ცოდვებში ყელამდე ჩაფლული ეს ქალბატონი და თავხედურად რატომ ყელყელაობს უბინძურეს ჭორებში?

* * *

2013 წლის 19 სექტემბერი

გაზეთ „ქრონიკა+“-ის მთავარი რედაქტორის ელისო კილაძის მიერ გუშინ (იგულისხმება 2013 წლის 18 სექტემბერი. – **ა. შ.**) წარმოდგენილ ფოტომასალას, რომელზეც ადამიანის მოკვეთილი ხელია გადაღებული, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ია ანთაძე** ეხმაურება. მასმედიის ერთ-ერთ მეტრად აღიარებული, საინტერესო ხელწერის ეს პროფესიონალი ჟურნალისტი განმარტავს, რომ ჟურნალისტიკის სტანდარტი შოკისმომგვრელ გამოხატვასაც ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესი ძალიან დიდი უნდა იყოს, მაგრამ, **როდესაც შოკისმომგვრელი გამოხატვა დიდი საზოგადოებრივი ინტერესითაა გამართლებული, მაშინ განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს ინფორმაციის სანდოობა და გადამოწმების ხარისხი.**

ელისო კილაძის მიერ შოკისებური ფოტოს გამოქვეყნება სწორედ იმ ინტერესითაა გამართლებული, რომ პენიტენციურ სისტემაში ადამიანთა წამების ფაქტები არ დაიმალოს. **სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ფოტოზე პატიმარი არ იყო ასახული.**

გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, რამაც საზოგადოებაში ერთგვარი აჟიოტაჟი გამოიწვია და დარტყმის ქვეშ დააყენა პენიტენციური სისტემა.

ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად ელისო კილაძეს ეკისრება, რომელმაც გადაუმოწმებელი, შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა“. – ამბობს ქალბატონი ია ანთაძე. ამასთან, განმარტავს, რომ სამართლებრივი გზით მოსთხოვენ თუ არა პასუხს ელისო კილაძეს, ეს სასჯელაღსრულების სამინისტროს მმართველ რგოლზეა დამოკიდებული. <u>**რაც შეეხება საზოგადოებას, მან ადვილად არ უნდა დაივიწყოს ეს შემთხვევა და ელისო კილაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობის მიმართ ჯანსაღი ეჭვი უნდა გაუჩნდეს.**</u>

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ამგვარ გამოხატვებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ტოვებდეს უყურადღებოდ და საჯაროდ უნდა აფასებდეს ასეთი სკანდალური, გადაუმოწმებელი ინფორმაციით საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს.“

„ანგარიშით“ გასწორებული ანგარიში

ჩემი 60-წლოვანი ჟურნალისტური გამოცდილება მაძლევს მორალურ უფლებას, მთელი გულისყურით განვჩხრიკო და მკითხველს გავაცნო დეზინფორმაციისა და სხვადასხვა ცილისმწამებლური ჭორის გავრცელების შედეგად ბეჭდვური და ელექტრონული მედიისათვის მიყენებული გამოუსწორებელი ზიანი. დავიწყებ სულ უახლესი ფაქტიდან: რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში – ეგრეთ წოდებული მედიის განვითარების ფონდის ეგრეთ წოდებული ანგარიშის სახით „დოკუმენტი“, რომელსაც ხელს ამ ფონდის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თამარ კინწურაშვილი** აწერს.

ზემოთ ხსენებულ მოკლე წინადადებაში „ეგრეთ წოდებული“ ორჯერ შემთხვევით არ გამიმეორებია, შემთხვევით არც სიტყვა „დოკუმენტი“ შემომისაზღვრავს ბრჭყალებით. თავად განსაჯეთ, **მედიის განვითარების რა ფონდზე და მის მიერ მასმედიის რა განვითარებაზეა საუბარი, როცა უკვე წლების განმავლობაში აღარ გამოდის ქვეყნის ერთ-ერთი უპოპულარესი გაზეთი „თბილისი“, რომელშიც მისი დაარსების დღიდან 21 წლის განმავლობაში ვმუშაობდი. ასევე აღარ გამოდის საქართველოს უძველესი გაზეთი „ქუთაისი“, რომელსაც 1988 წლიდან 2000 წლამდე ვრედაქტორობდი, აღარ გამოდის „სოფლის ცხოვრება“ და უამრავი სხვა ის ბეჭდური ორგანო, რომლებმაც მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართული მასმედიის ისტორიაში.**

ეგებ ქალბატონ თამარს და მის ამქარს, რომელსაც, შემთხვევით და მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის არავინ აფინანსებს, მედიის „განვითარებად“ ის მიაჩნიათ, რომ გაზეთების რედაქციებს წაართვეს ჩვენივე – ჟურნალისტების შემოქმედებითი და ფიზიკური შრომით აშენებული კორპუსები რუსთაველის პროსპექტზე, მერაბ კოსტავას, ხოშარაულის ქუჩებსა და ყველან, სრულიად საქართველოში, მერე კი სხვადასხვა საბაბით საგაზეთო ჯიხურებიც დაუხურეს და საფოსტო მომსახურებაც ფაქტობრივად მიუღწეველი გაუხადეს, რათა მათთვის არსებობის ყველა სახსარი მოესპოთ.

ახლა იმის თაობაზეც, თუ რა მოსაზრებით ჩავსვი „დოკუმენტი“ ბრჭყალებში. ამის განმარტებისათვის დავუბრუნდები იმ აზრს,თუ რატომ მიმაჩნია, რომ **მართალი იყო ჩემი სულგანათლებული მეგობარი ოტია იოსელიანი, რომელიც ყოველთვის ხაზგასმით ამბობდა, რომ გრანტიჭამიებს ზღაპრულ ხელფასებს ჩვენი ხალხის სასიკეთოდ არავინ უხდის.** ეს თვალნათლივ გამოჩნდა ქალბატონი თამარის „ნაკვლევ“ მასალასა და ნაკალმნარში, რომლითაც ცდილობს, რომ ეკონომიკური ზემოქმედებით აიძულოს მედიასამყარო, მხოლოდ მისი დამფინანსებლების ინტერესთა პროპაგანდისტები გახდნენ. არადა, **კანონმდებლობით საქართველოში ცენზურა აკრძალულია და ვინც შეეცდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის შემოვლითი გზებით ცენზურის განხორციელებას, აუცილებლად უნდა დაისაჯოს, რათა საზოგადოებრივი აზროვნება ვერ გააუკულმართონ.** ეს მით უფრო სათქმელია მაშინ, თუ, ნახავთ, თავიანთ სასარგებლოდ იმავე ფეისბუქში, ზემოთქმულს როგორ ახმიანებენ ელისო და მისი გუნდი.

ელისო კილაძე, 8 ივლისი, 11 საათი და 3 წუთი: **უკვე საბიუჯეტო დაფინანსება მიიღო ვინ? „საქართველოს რესპუბლიკამ“!!!!!**

დიახ, სწორედ ასეა – ძახილის ხუთი ნიშანი, რომელსაც შემდგომ კითხვის ოთხნიშნიანი წინადადება მოსდევს: **გამლანძღავდა პრემიერის სიმამრის დაკვეთით ეს გაზეთი აბა რას იზამდა????** (პუნქტუაცია სავსებით დაცულია). ბოლოს კი მისეულ P. S.-ს „სიბრძნის გამონაშუქი“ აგვირგვინებს, რომელიც ამჯერად მხოლოდ სამად-სამი ძახილის ნიშნით მთავრდება, რაც, როგორც ჩანს, ხბოსებრი, მაგრამ შედარებით მოკრძალებული შეკუნტრუშების ნიშანია:“ **P. S. მთავრობაში რომ ჭკუა არა აქვთ – ეს ცალკე თემაა!!!“**

ელისო კილაძესა და მის გუნდს მაბეზღარ-ცილისმწამებელ კინწურ-მინწურების მხარდასაჭერად რეალური საბაბი რომ არაფერი აქვთ, ეს დასაბუთებულად ითქვა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იმ სარედაქციო წერილში, რომელიც 9 ივლისს დაიბეჭდა. მასში ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ, როცა გაზეთში **რეკლამის განთავსება ტენდერის საშუალებით ხდება, ამ შეჯიბრებაში ის იმარჯვებს, ვინც კლიენტს უკეთეს პირობებს შესთავაზებს.** ასე რომ, ყველამ თავის ტენდენციურობასა და გაუცნობიერებლობას დააბრალოს, თუ რაიმე სწორად ვერ განჭვრიტა და ვერ თქვა. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ქალბატონი ელისო კილაძე პრემიერის სიმამრის დაკვეთით გალანძღეს, აბა, გაბედოს და დამიმტკიცოს, რომ მე – ალექსანდრე შენგელიამ ვინმეს შეკვეთითა თუ დაკვეთით გამოვაქვეყნე მისი მამხილებელი კრიტიკული სტატიები „ბაყაყის თვალის სინდრომი“ და „ბაქიბუქი, ბაკიბუკი და ფეისბუქი“. ვპირდები, რომ ჩემი სოლიდური ასაკის – 81 წლის მიუხედავად, იმ პასუხს მიიღებს, როგორიც „კაკაბეთის ზარებისა“ და „რისხვით შეკრული მუშტის“ ავტორს შეეფერება. ამაზე ხაზგასმა აუცილებლად მიმაჩნია, რადგან მწამს, რომ ხნიერი ხარისა რქანიც უნდა ხნავდეს. ეს კი განსაკუთრებით აუცილებელია დღეს, როცა სამშობლო უდიდეს განსაცდელშია: დაკარგულია ქვეყნის

იმ ელისოს რა ელისო?!

ტერიტორიის თითქმის მეოთხედი; სამშობლოდან გასული და ლუკმაპურისათვის მსოფლიოში მიმობნეულია ძირძველ მკვიდრთა თითქმის მესამედი; სამმილიონნახევარს ოდნავ აღმატებული დარჩენილი მოსახლეობიდან კი ნახევარი მილიონი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან – მშობლიური კერიიდან ლტოლვილია. მდგომარეობას განსაკუთრებით ისიც ამძიმებს, რომ 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის შემდეგ დღემდე არ არის ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება და დიპლომატიური ურთიერთობა არ აღდგენილა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, რომელსაც აფხაზეთიდან დასავლეთ საქართველოსაკენ, ხოლო ცხინვალის შემოგარენიდან უშუალოდ დედაქალაქისაკენ აქვს მოშვერილი ზარბაზნები და რაკეტული დანადგარები. ყოველივე ზემოთქმული კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაშია და ამ ვითარებაში არათუ ცილისმწამებლური გამოხდომებით, არამედ თითოეული მოუზომავი სიტყვითაც კი შეიძლება კატასტროფული მოვლენების ჯაჭვისებური განვითარება. **აი, რატომ ვარ დარწმუნებული, რომ ცილისწამებისა და უბინძურესი ჭორების ნიაღვარი უაღრესად საშიშია ქვეყნისათვის და დღეს ამ ბინძური ნაკადის შეჩერება გადაუდებელი აუცილებლობაა. მით უფრო, რომ ბევრი რამ სტრიქონებს შორის ისეთი თვალნათლივი წერტილებით იკვეთება, რომ მათი დამაკავშირებელი შტრიხიც კი დაუყოვნებლივ სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს.** დავასახელებ მრავალთაგან მხოლოდ ორს და, დაე, განმსჯელმა განსაჯოს, რამდენად საჭიროა მათზე სწორი სამართებლივი და საზოგადოებრივი რეაგირება.

ელისო კილაძე, 2014 წლის 5 მარტი: „ლადო ბედუკაძე – ნაძირალა! ახლა გავხდი პროვოკატორი? ერთი წელიწადი ოფისში რომ მყავდი შეფარებული და 500 დოლარს გაძლევდი, მაშინ არ ვიყავი?

ახლა დავიწყებ გამოქვეყნებას, ვისზე რას ამბობდი და მერე საზოგადოება დაინახავს, ვინ პროვოკატორია და ვინ უკანასკნელი ნაძირალა“. – მისთვის ჩვეული და არაერთგზის გამოყენებული თავხედური ტონით ემუქრება „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ვლადიმერ ბედუკაძეს, რომელმაც ელისო კილაძის მიერ დასახელებულ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა: **„არანაირი შეხება არა მაქვს არც ამ საქმესთან და არც ამ ქალთან. ეს ქალი არის პროვოკატორი!“**

და აქ უკვე კითხვა – გონივრული!

სხვებს რომ კაპიკებს უთვლის, ქალბატონი ელისო, ეგებ ამჯერად თვითონ აგვიხსნას, საიდან ჰქონდა ბედუკაძისათვის გადასაცემი 500-500 დოლარი, ან ის თანხა, რომელიც გაზეთის ოფისში ერთი წლით დამალულის შესანახავად დახარჯა და საიდან, ვისი შემწეობითა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ქუთაისის მკვიდრმა დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში საოფისე ფართი – სამოთახიანი ბინა დაიქირავა?

ბნელა მთვარიან ღამეში, თუ ვინმე ციდან მხოლოდ მისთვის ჰყრის დოლარებს?

არანაკლებ საინტერესოა მისი ნებსითი თუ უნებლიე აღიარება კრიმინალურ სამყაროსთან კავშირის თაობაზე.

2015 წლის 7 აპრილი. „რუსთავი-2“-ის გადაცემა „არჩევანი“.

როგორც გადაცემა „არჩევანში“ ქალბატონმა **ელისო კილაძემ** განაცხადა, თუ პოლიციელის მკვლელი აბულაძე ჩაბარებას გადაწყვეტს, იგი მზად არის სამართალდამცავების მხრიდან ლიკვიდაციისაგან დაიცვას.

„შალვა აბულაძემ იცის, ვინც ვარ. ჩვენ გვყავს საერთო მეგობრები. არ არის გამორიცხული მისი ლიკვიდაცია და მას მოვუწოდებ, მზად ვარ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ პირობებში. მან იცის, სად უნდა მომძებნოს, თუ ამის სურვილი გაუჩნდება, პირადად ვიყო ის პირი, რომელიც, თუკი გადაწყვეტს ჩაბარებას, რაღაცნაირად ვიყო მასთან, რომ არ მოხდეს მისი ლიკვიდაცია.

იგი არის შეიარაღებული, ცივი გონების კრიმინალი და მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი ფორმიანი ადამიანი იყოს, რომელიც მას ქუჩაში შეხვდება“.

„არჩევანის“ ეგიდით არჩეული იმ სიტყვების კომენტირება, რომელშიც კრიმინალურ სამყაროსთან თვითმარქვია „მატა-ჰარი“ – „მათე ბიჭის“ ურთიერთობაა ასახული, თქვენთვის მოგვინდია, მკითხველო!

ელისო თუ მანასელი?

ახლა მხოლოდ ორიოდე სიტყვა მისეული **„ცალკე თემის“** შესახებაც, რომლითაც ელისო კილაძეს სურვილი გაუჩნდა, რომ დაამტკიცოს, თითქოს მთავრობაში ჭკუა არა აქვთ. ამ თავხედური განცხადების განმტკიცების მიზნით წლევანდელი აპრილის ბოლოს მან გაავრცელა ჭორი, რომ 15 მაისს პრემიერ-მინისტრი პოსტს დატოვებდა.

15 მაისის შემდეგ უკვე გავიდა ორი თვე, მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, მისი პროგნოზი ყალბი გამოდგა.

ერთი წლით ადრე, 2014 წლის 7 აგვისტოს ელისო კილაძემ კატეგორიული ტონით განაცხადა, რომ ვიცე-პრემიერი კახა კალაძე „ქართულ ოცნებასა“ და თანამდებობას ტოვებდა და ისევ მილანში მიემგზავრებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც ეს ჭორი გამართლდა.

მისეულ ნაავკაცარ ვერაგობათა შორის განსაკუთრებულად გამორჩეული შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ბატონ გელა ხვედელიძის წინააღმდეგ აგორებული ცილისწამებაა, რომელსაც ხვედელიძისავე გადაწყვეტილებით პოსტიდან მისი გადადგომა მოჰყვა. აი, რას წერს ამასთან

დაკავშირებით ქალბატონი ელისო საზოგადოება „მოქალაქის“ თავკაცს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რათა მისივე შეთითხნილი ცილისწამების კვალი როგორმე წაშალოს:

„მეც და თქვენც მწარედ მოგვატყუეს, როცა დაგვარწმუნეს, რომ მინისტრის მოადგილემ ვერ გაუძლო მედიის შანტაჟს და თითქოს პირადად განათავსა ინტერნეტსივრცეში მისი ოპონენტის –გიორგი ფარესიშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოფირი“.

რისთვის სჭირდებოდა ქალბატონ ელისოს ეს დაგვიანებული „შახსეი-ვახსეი“?

მოვიშველიოთ მისივე ჟარგონი „გაიასნება“ და განვჩხრიკოთ 2014 წლის 18 მარტს გაზეთ „ქრონიკა+“-ის საშუალებით ელისო კილაძის მიერ ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი გაგზავნილი ღია წერილიდან კიდევ ერთი ამონარიდი, რათა ყველაფერი ბოლომდე გამჭვირვალე გახდეს:

შარშან, ამ დროს, ქვეყანაში ახალი ხელისუფლების პირველი და გახმაურებული სკანდალი – ე.წ. „გელა ხვედელიძის საქმე“ დაიწყო.

„თქვენ გაბრაზდით იმდენად, რომ ვალში არ დამრჩით და ყველა შეხვედრაზე, ყველა ბრუნვაში ატრიალეთ ჩემი სახელი და გვარი, იქამდე, ბოლოს **განაცხადეთ, რომ ჟურნალისტად საერთოდ არ მთვლიდით“.**

* * *

სხვათა შორის, მეც ზუსტად ასე ვფიქრობ: ქალბატონ ელისოს ჟურნალისტად დღემდე არ ვთვლი და ეს არ ხდება შემთხვევით. იგი ვერ ახერხებს სიკეთის ნიჭის გამოვლენას, უამისოდ კი უაღრესად ფეთქებადსაშიშ იარაღთან – პრესასთან დილეტანტის თამაში ზუსტად იმ ნაღმსა ჰგავს, „ჯართის დედოფლად“ ქუთაისში მისი კურთხევის დღეებში „ავტოგენით“ დეტალებად დაჭრისას რომ აუფეთქდათ და ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა.

ელისო კილაძის მთელმა ცხოვრებამ ფაქტობრივად ჩემს თვალწინ ჩაიარა და ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ შეიძლებოდა ნორმალურ ჟურნალისტად მართლაც ჩამოყალიბებულიყო, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო გზა არ გამრუდებოდა და სახელის დაუმსახურებლად და სწრაფად მოხვეჭის მიზნით ჯერ მხედრიონელებთან ერთად „მათე ბიჭის“ სახელით არ ერბინა, შემდეგ იაფფასიან ჭორებზე ნადირობა და მავანთა საამებლად უამრავ პატიოსან ადამიანზე ცილისწამება არ დაეწყო, მერე ხან ბონდო შალიკიანს არ შეკედლებოდა, ხან კი ნაციონალებს შეფარებულს ყოფილ მხედრიონელ გუბერნატორთან არ ეცადა თანამდებობის მოპოვება.

იმერეთის ყოფილი გუბერნატორის ამალიდან არც თუ საქებარი საქმისათვის კუდამოძუებული ქალბატონი ელისო ბადრი პატარკაციშვილთან მოხვდა, მაგრამ მისი, ისევე, როგორც მანამდე ბონდო შალიკიანთან დაკავშირებით, სულგანათლებული მილიონერის გარდაცვალებისთანავე ფსევდოჟურნალისტიკის რუპორი – „ქრონიკა+“ მაქსიმალურად გამოიყენა, რათა ამჯერად უკვე მილიონერთან კი არა, მილიარდერთან შეეფარებინა თავი.

თანაც, დახეთ, რა გზით!

ის ადამიანი, რომლისაც მისთვის სასურველ მილიარდერს სწამდა და ისიც სჯეროდა, რომ უპატიოსნესი კაცი იყო, ცილისწამების ლაფით მოსვარა, რათა შემდგომ მრავალგზის ნაცადი თავისივე „მეთოდი“ გამოეყენებინა – სხვები ლაფში ამოესვარა, რათა მის მიერ უკვე მოსვრილის ლაფის ჩამორეცხვას შესდგომოდა, თანაც ისიც ეცადა, რომ დამხმარის როლი თავისი წერილის ადრესატისათვის შეეთავაზებინა.

დიახ, არც მეტი და არც ნაკლები! 2014 წლის 18 მარტს ჭორიკნობითა და ცილისწამებით გამორჩეული თავისივე საავტორო გაზეთით მოკავშირეობა შესთავაზა იმ კაცს, ვინც ჩვენს ქვეყანას ღვთის სახლი „სამება“ და უამრავი სხვა სიკეთე აჩუქა.

შეიძლება მეტი ცინიზნი?

ცილისწამებები, ცილისწამებები,

ისევ დავუბრუნდეთ მღვრიე მდინარების ბინძურ სათავეს.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის სამდივნოზე ამ ორგანიზაციის მდივნის, ბატონ გიორგი ასათიანის ხელმძღვანელობით სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ ყოველმხრივ შესწავლილი მასალების განხილვისა და გაანალიზების შემდგომ, ორგანიზაციის სახელით 2000 წლის 5 ივნისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია: **„იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ტრადიციულ საორშაბათო პრესკონფერენციაზე ქალბატონმა ელისო კილაძემ ღია ეთერით გადაცემისას განაცხადა, რომ თითქოს ერთ-ერთი ინსტიტუტის რექტორი, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პროფესორი ნასამართლევია და ინფორმაცია ამის შესახებ ვითომცდა დანაშაულებრივად არის ამოღებული შინაგან საქმეთა სამინისტრის საინფორმაციო ცენტრიდან“.**

საქმის არსებითი შესწავლით გაირკვა, რომ პიროვნების ღირსების შემბღალავი ჭორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მიერ თითქოსდა ჩადენილი გაუმართლებელ ქმედებაზე საუბარი ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული და ემყარებოდა ამავე ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომლის გადაუმოწმებელ მონათხრობს. გაირკვა დეზინფორმაციის საბაბიც – ზემოხსენებულმა განაწყენებულმა პიროვნებამ, რომელიც ელისო კილაძის ნათესავი აღმოჩნდა, უმაღლეს სასწავლებელში რექტორის არყოფნისას, საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მოაწყო შეხვედრა მაჟორიტარობის კანდიდატ ბონდო შალიკიანთან, რომლის პრესსამსახურის უფროსი და უშუალი წარმომადგენელი ელისო კილაძე გახლდათ. არადა, ამ უმაღლესი სასწავლებლის იმდროინდელი სტატუსიდან გამომდინარე, ამომრჩევლები არც ერთ სხვა კანდიდატს არ შეხვედრიან და ზემოაღნიშნული გამონაკლისის დაშვების გამო რექტორატი თანამშრომელს სრულიად კანონიერად გაუნაწყენდა...

აი, როგორ ესმოდა და ესმის მასმედიის როლი და დანიშნულება ჟურნალისტობის ნიღაბამოფარებულს!

სამწუხაროდ ასეთი შემთხვევები მის პრაქტიკაში ერთი და ორი არ არის.

2000 წლის 7 მარტს ქალბატონი ელისო კილაძის ერთ-ერთი ცრუ დასმენის შინასაგამოძიებო შემოწმების შესახებ იმერეთის საოლქო პროკურორის იმდროინდელი მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი **ჯანგულ ჯანელიძე** წერდა: „1999 წლის 25 თებერვალს ქუთაისის პროკურატურაში შემოვიდა ქალაქის მაშინდელი მერის განცხადება, რომ საკრებულოს სხდომაზე ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გააკეთა მისი სახელის გამტეხი ცრუ შინაარსის განცხადება, თითქოსდა მერის სახელით ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელობისაგან უკანონოდ ითხოვდნენ 35-პროცენტიან წილს.

შემოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნული რეალობას არ შეესაბამებოდა. ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გამოიყენა ქალაქის საკრებულოს ტრიბუნა და1999 წლის 18 თებერვლის სხდომაზე შეგნებულად გააკეთა პიროვნების სახელის გამტეხი განცხადება, რითაც ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით.“

მაშ, რატომ არ დაისაჯა ზემოხსენებული და შემდეგდროინდელი მრავალი სხვა არანაკლებ გახმაურებული ცილისწამების ავტორი?

მიზეზი ძალზე მარტივია და იგი სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული როგორც ზემოხსენებულ დოკუმენტში, ისე ამავე საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის იმდროინდელი პროკურორის, ბატონ შალვა ფხაკაძის წერილში, რომელიც უშუალოდ მომჩივანს გაეგზავნა. ამ ვრცელი და უაღრესი პუნქტუალობით გამორჩეული პასუხიდან გთავაზობთ მხოლოდ დასკვნით ნაწილს.

„შემოწმებით დადგინდა, რომ ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გამოიყენა საკრებულოს ტრიბუნა და 1999 წლის 18 თებერვლის სხდომაზე გააკეთა შეგნებული მონაჭორი, თქვენთვის სახელის გამტეხი განცხადება, რითაც ჩაიდინა დანაშაული. მისი მოქმედება შეიცავს ცილისწამების – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

ამავე დროს განგიმარტავთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საქმეთა საპროცესო კოდექსის 115-ე და 126-ე მუხლების შესაბამისად ეს დანაშაული განეკუთვნება კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას და საქმე აღიძვრება უშუალოდ სასამართლოში დაზარალებულის საჩივრის საუძველზე, სასამართლო კი მას განიხილავს წინასწარი გამოძიების ჩაუტარებლად“

როგორც იტყვიან, ყველაფერია თქმული და ამიტომ რთული არც იმაზე პასუხია, თუ მის მიერვე შერჩეულ მღვრიე მდინარეებში დღემდე რატომ არ ჩაიძირა უამრავ ცოდვაში ფეხჩადგმული ბოროტი ცილისმწამებელი და ჭორიკანა.

და მაინც ვისურვებდი, რომ მოინანიოს, რათა საზოგადოებამაც მიუტევოს და მამაზეციერმაც, რამეთუ ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მის მიერ დაუმსახურებლად სახელგატეხილთაგან ოდესმე ერთს მაინც გაუწყდება მოთმინების ძაფი და სასამართლოს საშუალებით საქმეს ბოლომდე მიიყვანს: შეგნებული მონაჭორის გავრცელებისათვის მისგან კანონით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის წესით უმკაცრეს, მაგრამ სამართლიან პასუხისგებას მოითხოვს.

ასე რომ, შერლოკჰოლმსობა არ არის საჭირო, რათა დიდი ალბათობით ვივარაუდოთ: ჭორებში რომ ყელყელაობს, იმ ელისოს რა ელისო?

რადა, შეცვლა ჰაერისო!

ალექსანდრე შენგელია,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი

◎ გზა გოლგოთისკენ?!.

20-საათიანი მარათონი დასრულდა – ევროპის სუპერთასის ბილეთები გაიყიდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 11 აგვისტოს თბილისში გასამართ უეფას ევროპის სუპერთასზე „ბარსელონასა“ და „სევილიას“ მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაასრულა.

22089 ბილეთის რეალიზაცია კვირა დილას 08:50 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სპეციალურად დამონტაჟებულ სალაროებში დაიწყო და ორშაბათ დილას დაახლოებით 05:25 საათზე დასრულდა. გულშემატკივრები ვაკის პარკიდან 50-50 კაციანი ჯგუფებით ამოდიოდნენ და პოლიციის მიერ დამონტაჟებულ ჯებირებთან ჩერდებოდნენ, საიდანაც მცირე ჯგუფებით სალაროების ტერიტორიაზე ხვდებოდნენ.

ბილეთები 12 სალაროში იყიდებოდა და გულშემატკივრებს 12 მოლარე ემსახურებოდათ, რომელთაც კიდევ ოთხი ეხმარებოდა. მათგან 14 გოგონა იყო, ხოლო 2 – ბიჭი. აღსანიშნავია, რომ ყველა სალაროში ვიდეოკამერები დაამონტაჟეს, ხოლო მოლარეებს ჩანთები და პირადი ნივთები ჩამოართვეს.

სალაროებში ფანჯარასთან ახლოს მონიტორები დაამონტაჟეს, რომ თითოეულ გულშემატკივარს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენას“ მაკეტზე სასურველი სექტორი, რიგი და ადგილი შეერჩია.

გაყიდვაში 18-ლარიანი, 35-ლარიანი და 75-ლარიანი ბილეთები იყო. ეკრანზე 75-ლარიანი ბილეთები სტაფილოსფერით იყო აღნიშნული, 35-ლარიანი – მწვანეთი, ხოლო 18-ლარიანი – ყვითლით. ერთი ID ბარათის მფლობელი მაქსიმუმ 4 ბილეთს იძენდა და გამონაკლისი არავისთვის დაშვებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამის არაერთი მცდელობა იყო. სასურველი ბილეთის შერჩევისას მოლარე მას პრინტერით ბეჭდავდა. სუპერთასის შეხვედრაზე მისულ ქომაგს ID ბარათი აღარ დასჭირდება და ბილეთზე დატანილ შტრიხკოდს „დინამო არენაზე“ დამონტაჟებულ ტურნიკეტს დაადებს, რის შემდეგ სტადიონის შიდა ტერიტორიაზე მოხვდება.

ბოლოს იმ ჯგუფების გათვალისწინებით, რომლებიც სალაროების ტერიტორიასთან იყვნენ მოსული, ჯერ სამ-სამი ბილეთი გაიცა, შემდეგ – ორ-ორი და უკანასკნელ შვიდ კაცს თითო ბილეთი შეხვდა მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს სხვა ქომაგისთვის სოლიდარობის გამოხატვა არ სურდა და მეტ ბილეთს ითხოვდა.

სალაროების გარე პერიმეტრზე წესრიგს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ, ხოლო უშუალოდ სალაროებთან – დაცვის სამსახური და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სტიუარდები.

ნაშუადღევს ბილეთების რეალიზაცია მცირე ხნით შეფერხდა, რადგან სალაროებში დენი გაითიშა და მუშაობა დიზელ-გენერატორის დახმარებით გაგრძელდა.

ბილეთების შეძენაში გულშემატკივრებს სფფ პრეზიდენტ ზვიად სიჭინავათი და გენერალურ მდივან რეზო არველაძეთი დაწყებული, ხსენებული ორგანიზაციის თითქმის ყველა თანამშრომელი ეხმარებოდა, რომელთაც დილამდე თავისი ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ დახმარება დროული იყო, რადგან ბევრმა საერთოდ არ იცოდა, სტადიონს დასავლეთ, აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნები სად აქვს. ზოგი ბილეთს რომ ყიდულობდა, მოლარეს სთხოვდა, ის ადგილები მომეცი, საიდანაც ფეხბურთელები გამოდიანო.

მონიტორინგს ქალაქ თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი არეშიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ წარმომადგენელი ზვიად დევდარიანი და ჟურნალისტი ლაშა თაბაგარი ანხორციელებდნენ.

წესით, ბილეთები დილის 9 საათიდან 21 საათამდე უნდა გაყიდულიყო, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ ქომაგების ინტერესი გაითვალისწინა და ბილეთების რეალიზაცია მათ საბოლოო ამოწურვამდე გადაწყვიტა.

სალაროს გვერდის ავლით არცერთი ბილეთი არ გაყიდულა. არც ფედერაციის თანამშრომლებს, არც სტიუარდებსა და არც მონიტორინგის წევრებს ბილეთები არ შეუძენიათ.

უშუალოდ სალაროების ტერიტორიაზე არც ერთი ინციდენტი არ მომხდარა. ფედერაციის წარმომადგენლები, სტიუარდები თუ მოლარეები გულშემატკივრებს მოუწოდებდნენ, რომ სასურველი ბილეთი დროზე შეერჩიათ, რათა ვინც გარეთ ელოდებოდათ, მათი ინტერესი გაეთვალისწინებინათ. სხვათა შორის, ზოგიერთმა ნახევარი საათის განმავლობაში ვერ გადაწყვიტა, რომელი ბილეთი ეყიდა და ასეთების არგუმენტი იყო: „რა ვქნა, მელოდონ, მე სამი დღეა ვაკის პარკში ვათენებო“. მსგავსი შემთხვევები რომ არ ყოფილიყო, ბილეთების გაყიდვა უფრო ადრე დასრულდებოდა.

რამდენჯერმე ბილეთების შემძენს თანხა დააკლდა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე დაეხმარათ. კარგად გაართვეს არცთუ იოლ სამუშაოს თავი მოლარეებმა, რომლებმაც ფაქტობრივად 20 საათი შეუსვენებლად იმუშავეს. მცირე ტექნიკური შეფერხებებიც იყო უშუალოდ ბილეთების პროგრამის მუშაობისას, რომელსაც ფედერაციის IT სამსახურის წარმომადგენლები ასწორებდნენ.

ბილეთები უშუალოდ მონიტორინგის ჯგუფის წევრების წინ გაიხსნა და მოლარეებს დაურიგდათ, ხოლო გაყიდვის დასრულების შემდეგ ამავე ჯგუფის ორმა წევრმა დევდარიანმა და თაბაგარმა, რომლებიც დანიშნულების ადგილზე პროცესის დასრულებამდე იმყოფებოდნენ, სალაროები უშუალოდ შეამოწმეს, რათა სადმე შემთხვევით ბილეთი არ დარჩენილიყო.

ბილეთების გაყიდვის დასრულების შემდეგ ის გულშემატკივრები, ვისაც „ბარსელონა“ – „სევილიას“ მატჩზე მოხვედრა წილად არ ხვდა და უკმაყოფილო დარჩა, ფეხბურთის ფედერაციასთან მივიდა და უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოხატავდა, მათ შორის – გინებითაც.

გიორგი შოთაძე

◎ ხელბურთი

ახალი სარბიელი ახალგაზრდებმა მოსინჯეს

თორმეტიოდე დღეც და თბილისში დაიწყება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს 17-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ნაკრები (მარიამ ჩაჩუა („პეგასი“), ანა ვარდიშვილი („მამული“), თათია გადელია („ფოთი“), ქეთი კუნელაშვილი, თამთა თეთრაშვილი, მარიამ მიხელიძე, თინა ქიტესაშვილი, სოფო იორდანიშვილი („ყვარელი“), ნინო გაბისონია, ქრისტინე ღვალაძე, ანა ყველაშვილი („მამული“), თამარ ჩოგოვაძე, ქეთევან ვენეცკი, მედეა ჩოხელი, მაია ბერიძე („პეგასი“), მთავარი მწვრთნელი გიორგი გვაზავა, მწვრთნელი ინა ჭკუასელი), რომელიც ამას წინათ რიზეს ოლქის პატარა ქალაქ არტაშენში თურქ თანატოლებს დაუპირისპირდა და სამივე შეხვედრა მოუგო, შესაბამისად, - 30:17, 20:14 და 24:13.

გასულ უქმეებზე არტაშენელთა ახალგაზრდული ნაკრები, რომლის ყველა წევრი ეთნიკურად ლაზია, თბილისს ეწვია და უნივერსიტეტის ქუჩაზე აგებულ ახალ სპორტის სასახლეში მასპინძელ თანატოლებს გაუწია მეტოქეობა. პირველ შეხვედრაში გიორგი გვაზავას შეგირდებმა ექვსბურთიანი სხვაობით აჯობეს სტუმრებს 28:22. ამ გუნდების განმეორებითი პაექრობა დაძაბულად წარიმართა და ფრედ დამთავრდა – 20:20. გახარებულმა არტაშენელებმა მოედანზევე დაუარეს ლაზური ხორუმი, როგორც წინასწარ იყო შეთანხმებული.

„ორი თვეა, ფესტივალისთვის ინტენსიურად ვემზადებით. სატესტო შეხვედრებმა გვიჩვენა, რომ ხარვეზები ჯერ კიდევ გვაქვს და შეჯიბრების დაწყებამდე ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრაზეც ვიმუშავებთ. ტრავმირებული გვყავს ძირითადი მეკარე ჯავახია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იგი გამოჯანმრთელებას მოასწრებს. 27 ივლისს ქვეჯგუფის პირველ მატჩს რუსეთის ნაკრებთან გავმართავთ, მერე რუმინეთსა და ჩეხეთს დავუპირისპირდებით. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ნახევარფინალის საგზური მოვიპოვოთ. ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე ორი გუნდი გადის. ეს ჩვენთვის შესაძლებლობის მაქსიმუმი იქნება და ამ ეტაპზე შედეგითაც კმაყოფილი ვიქნებით“, – გვითხრა გიორგი გვაზავამ.

ახლა კი ორიოდე სიტყვა ახალ სახელბურთო არენაზე, რომელიც კვირას საზეიმოდ გაიხსნა. სპორტის სამინისტროს ინიციატივით, ამ კომპლექსის მშენებლობა შარშან ივნისში გადაწყდა. სამი თვე პროექტზე იმუშავეს, ერთი ამდენი მოსამზადებელ პერიოდს მოუნდა, მშენებლობა წლეულს იანვარში დაიწყო „სპორტმშენსერვისის“ (უფროსი ლევან ტარყაშვილი) დაკვეთით, სამუშაოები „ელექტრომონტაჟსერვისმა“ (ნუგზარ რობაქიძე) შეასრულა. მშენებლების გარდა, არავის ეგონა, რომ ეს უზარმაზარი ბაზა ოლიმპიური ფესტივალის დაწყებამდე ჩადგებოდა მწყობრში.

კომპლექსი ორდარბაზიანია. მთავარში ტრიბუნები 3500 მაყურებელზეა გათვლილი. მეორე დარბაზიც სტანდარტულია, თუმცა აქ ტრიბუნა მხოლოდ 550 მაყურებელს იტევს. კომპლექსს აქვს კომფორტული პრესცენტრი, საკონფერენციო დარბაზი, დასასვენებელი ადგილები ჟურნალისტებისა და სტუმრებისთვის, კაფეტერია 70 ადგილზე, სათავსოები, ოთახები კომპლექსის ადმინისტრაციისა და შეჯიბრებების ორგანიზატორებისთვის, მომსახურე პერსონალისთვის, ასევე, სასტუმრო 14 ნომერზე. თითოეულ დარბაზს ექვს-ექვსი გასახდელი აქვს. ტრიბუნის ქვეშ განთავსებულია ფიტნესდარბაზი ორი განყოფილებით. ორივე სათამაშო დარბაზში დამონტაჟებულია კონდიცირება-ვენტილაცია-განათების უახლესი სისტემები, მთავარ სარბიელზე ნებისმიერი შეჯიბრების გამართვა შეიძლება. პირდაპირი რეპორტაჟებისთვის აქ რვა სატელევიზიო კამერა განთავსდება. ქართული სპორტისთვის ეს კომპლექსი უდიდესი შენაძენია.

ლექსო ცინცაძე



◎ დინასტია

სამყაროს კიდევ ერთი ბუფონი მოევლინება

ჯიჯი ბუფონი მამა კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე მესამედ გახდება და როგორც იტალიის „ყვითელი“ მედია გვამცნობს, ბუფონის მომავალი ბავშვის დედა და ახალი გულისსწორი პოპულარული აპენინელი ტელეწამყვანი ილარი დამიკო ამ ფაქტით ნამეტნავადაა აღფრთოვანებული და თავის სიხარულს ყველას უზიარებს.

ჯიჯი და ილარი ამჟამად გაუბედურებული საბერძნეთის ულამაზეს კუნძულებზე ისვენებენ და ბუფონის სატრფოს ჩამრგვალებულ მუცელს ვინც კი არ იზარებს, ყველა უცქერის. ილარი დამიკო კი იძახის, რომ დარწმუნებული ვარ, ბიჭი მეყოლება და თუ ეს ასე მოხდება, იმისაც მჯერა, რომ იტალიას ახალ დიდ გოლკიპერს გავუზრდიო.

როგორც უკვე იცით, ჯანლუიჯი ბუფონს თავის პირველ ცოლთან, ცნობილ ჩეხ მოდელ ალიონა სერედოვასთან უკვე ჰყავს ორი ვაჟიშვილი: დევიდი და ლუისი და არაა გამორიცხული, რომ მამას ამჯერად ქალიშვილის ყოლა უნდოდეს, მაგრამ აბა თქვენ ერთი ილარი დამიკოს ჰკითხეთ...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ქართველები - უცხოეთის კორტებზე

გასულ კვირას ქართველმა ჩოგბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს უცხოეთის კორტებზე. თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ ჩერნოგორიელ დანკა კოვინიჩთან ერთად საფრანგეთის 100.000-იან ტურნირში წყვილთა პაექრობა მოიგო. პირველ ნომრად განთესილმა ქართულ-ჩერნოგორიულმა დუეტმა გზიდან ჩამოიცილა მიხაელა ბოევი (ბელგია) და მიჩელ საიმონსი (სამხრეთი აფრიკა) 6:4, 6:3, ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) და ტერეზა შმიტკოვა (ჩეხეთი) — 6:3, 6:2, გადამწყვეტ პაექრობაში კი ირინა რამიალისონისა და კონსტანცა სიბილეს (ორივე-საფრანგეთი) ტანდემს აჯობა — 2:6, 6:3, 10:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

თურქულ ბურსაში ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა თბილისელი სოფიო შაფათავა. ერთეულთა თანრიგში მან აჯობა მასპინძელ აილა აქშუს — 6:1, 6:3, რუს მარინა მელნიკოვას — 2:6, 6:4, 6:4, ჩეხ ბარბარა კლეიჩიკოვას — 6:4, 7:5, მაგრამ ნახევარფინალი ლატვიელ ანასტასია სევასტოვასთან წააგო — 2:6, 0:6. წყვილებში იგი უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად ფინალში გავიდა, თუმცა გადამწყვეტი პაექრობა მარინა მელნიკოვასა (რუსეთი) და ლაურა პოუს-ტიოს (ესპანეთი) ტანდემთან დათმო — 4:6, 4:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

ერთი კვირის წინათ სტამბოლში გამართულ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა ყველა მეტოქე დაამარცხა და მთავარი პრიზი მოიპოვა. ქართველმა ჩოგბურთელმა მსგავსი წარმატება გასულ უქმეებზეც გაიმეორა: სტამბოლშივე მე-8 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ზედიზედ დაამარცხა ავსტრალიელი დანიელ ჰობარტი — 7:6, 6:0, იტალიელი მატეო ტინელი — 6:3, 6:3, ბელარუსი დმიტრი ჟირმონტი (მე-2 განთესვა) — 6:4, 6:0 და თურქი ჩემ ილკელი (მე-6) — 6:1, 4:6, 6:3, ხოლო ფინალში მე-3 რეიტინგის მქონე ბელარუს ეგორ გერასიმოვს სძლია — 6:3, 6:3. ამ გამარჯვების შემდეგ მეტრეველი სტამბოლიდან სან-მარინოს გაემგზავრა, სადაც საქართველოს ნაკრების სხვა წევრებთან (ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე და გიორგი ჯავახიშვილი, კაპიტანი ვლადიმერ გაბრიჩიძე) ერთად დევისის თასის III ჯგუფის ევროპულ ზონაში ზედა ეშელონის საგზურისთვის იბრძოლებს

გივი გაგუა

◎ უიმბლდონი

ჯოკოვიჩმა მესამედ მოიგო, სერენა უილიამსმა — მეექვსედ!

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა უიმბლდონის ტურნირის ფინალში დიდი სლემის 17-გზის ჩემპიონი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი 7:6. 6:7,

6:4, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა 2 საათსა და 56 წუთს გაგრძელდა.

ორი სასტარტო სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. პირველ პარტიაში სერბმა 7:1 იმარჯვა, მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე „ნოლე“ 6:3 იგებდა, თუმცა როჯერმა 3 სეტ-პოინტი გადაარჩინა და საბოლოოდ 12:10 მოიგო. მესამე სეტის მოსაგებად ნოვაკს ერთი ბრეიკი ეყო, ხოლო მეოთხეში ბალკანელმა ორი ბრეიკით გაიმარჯვა. კარიერაში ჯოკოვიჩმა უიმბლდონის თასი მესამედ აღმართა (2011, 2014, 2015). სულ ჯოკოვიჩს დიდი სლემის 9 ტიტული დაუგროვდა.

„ნოლემ“ 13 ეისი ჩააწოდა და ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ფედერერს 14 ეისი და 3 ორმაგი შეცდომა ჰქონდა. 148 გათამაშება სერბის გამარჯვებით დასრულდა, 138 — ფედერერის.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ უიმბლდონის ფინალშიც ჯოკოვიჩმა როჯერ ფედერერი დაამარცხა (6:7, 6:4, 7:6, 5:7, 6:4).

* * *

სერენა უილიამსი უიმბლდონის 2015 წლის გათამაშების ჩემპიონი გახდა. უმცროსმა უილიამსმა ფინალში გარბინე მუგურუზა ბლანკო საკმაოდ იოლად, ანგარიშით 6:4 6:4 დაამარცხა. ინგლისის პრესტიჟული ტურნირი ამერიკელმა მეექვსედ მოიგო.

განვლილ მატჩში სერენამ 12 ეისი მოაწოდა, ხოლო მუგურუზამ — 3. სამაგიეროდ, ორმაგ შეცდომებში ამერიკელი ლიდერი გახლდათ (8), ესპანელმა კი მხოლოდ ორჯერ დაკარგა გაუთამაშებლად ქულა. უილიამსმა 10 ბრეკპოინტის შესაძლებლობიდან 7 გამოიყენა, რამაც მატჩის მოგება განაპირობა. ევროპელმა 8 შანსიდან მხოლოდ 3 შემთხვევაში იყოჩაღა.

სერენამ ზედიზედ მესამე დიდი სლემის ტურნირის მოგება მოახერხა. სეზონის სტარტზე მან ავსტრალიის პირველობაზე იმარჯვა, რამდენიმე კვირის წინ საფრანგეთის ღია ჩემპიონატშიც შეძლო გამარჯვება, ამერიკის ღია პირველობაზე კი აქვს შანსი ერთ წელიწადში ყველა დიდი სლემი დააჭაშნიკოს და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ შტეფი გრაფს გაუთანაბრდეს. გერმანელმა 1998 წელს ოთხივე ტურნირი მოიგო.

სერენამ რიგით 21-ე დიდი სლემი მოიგო და ახლა მხოლოდ ერთი ტიტულით ჩამორჩება შტეფი გრაფს (22 დიდი სლემი).

აღნიშნული ტრიუმფით სერენა 33 წლის და 288 დღის ასაკში გახდა ყველაზე ხანდაზმული დიდი სლემის მომგები ჩოგბურთელი ქალი. წინა რეკორდი ლეგენდარულ მარტინა ნავრატილოვას ეკუთვნოდა, რომელმაც უიმბლდონი 33 წლის და 263 დღის ასაკში მოიგო.

კობა კობახიძე

◎ რეპლიკა

„ეხო მოსკვის“ მთავარ რედაქტორს ალექსეი ვენედიქტოვს

ჩემი თქვენდამი მომართვა ა. წ. 7 ივლისს თქვენმა სრულიად დაუსაბუთებელმა, უპასუხისმგებლო გამოსვლამ, სააკაშვილის უდიდეს რეფორმატორად, კორუფციასთან აქტიურ მებრძოლად, დიდ პოლიტიკოსად, უკრაინისა და, კერძოდ, ოდესის იმედად აღიარებამ განსაზღვრა.

ნუთუ მართლა არ იცით სააკაშვილის ცნობილი განცხადება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, მისი მოწოდება „ყველანი ციხეში!“, მის მიერ შექმნილი სადამსჯელო ბრიგადები, პოლიტიკურ ოპონენტთა, სრულიად უდანაშაულო ადამიანთა, 160 ახალგაზრდის ქუჩაში ჩახოცვა, ადამიანთა უკვალოდ გაქრობა, კანონდარღვევით კერძო საკუთრების წართმევა, ტერორი ბიზნესზე, მშვიდობიანი აქციების, ტელეარხების დარბევა, მისი ბრძანებით ხელკეტებითა და ცოცხებით პატიმართა გაუპატიურება, ღვაწლმოსილ სამხედრო პირთა დაპატიმრება, ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა, მეცნიერების, ხელოვნების სრული დაუფასებლობა, ქვეყანაში ძალადობის, შიშის, ტყუილის დანერგვა, შავი პიარის აღზევება, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციის არნახული აყვავება, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად, პირადი სიამოვნებისთვის ხარჯვა, ძვირად ღირებული მოგზაურობანი, მასაჟისტების მოწვევა, უძვირესი თვითმფრინავი პირადი სარგებლობისთვის, უგემოვნო შოუების მოწყობა, საკუთარი ხალხის ნაძარცვი ფულით უზარმაზარი ლობისტური ქსელის შექმნა საზღვარგარეთ.

ნუთუ არ იცით და არ გაგიგიათ, როგორ ააფეთქა სააკაშვილმა ცნობილი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის დიდების მემორიალი, რომელსაც ოჯახის 2 წევრი შეეწირა და იმის ადგილზე კი ააშენა სრულიად გამოუსადეგარი პარლამენტის შენობა, სადაც ვირთხები, განსხვავებით დეპუტატებისაგან, კომფორტულად გრძნობენ თავს; ან ხუთჯერ სახურავგადახდილი სააკაშვილის მიერ ნაქები ახალი აეროპორტის შენობა რად ღირს, თურმე არ ყოფილა გათვალისწინებული წვიმისა და ქარის პირობებში ან ერთი საფრენი ბილიკი, მაშინ, როდესაც გერმანელი მშენებლები სთავაზობდნენ ორ ბილიკს და საერთოდ აეროპორტის მშენებლობას ბევრად იაფად, ვიდრე თურქები.

სააკაშვილის მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს ე. წ. შუშის ხიდი, გაჭყლეტილი ბოთლის „ქანდაკება“ ბათუმის სანაპიროზე, ე. წ. ჭაჭის შადრევანი და „ველოსიპედი“ რუსთაველზე დავით აღმაშენებლის ქანდაკების ნაცვლად, ნუთუ არ იცით, თუ როგორ აცარიელებდა სააკაშვილი ქართულ სოფლებს, კაპიკებად ჰყიდდა უცხოელებზე ქართულ მიწებს, ჩეხდა ვენახებს, ან რად ღირს გიფსოკარდონით მოპირკეთებული შენობები აღმაშენებლის გამზირზე. ნუთუ არ იცით, რომ მისმა საგარეო პოლიტიკაში სიბეცემ ქვეყანას დააკარგვინა ტერიტორიის 20 პროცენტი, აღიარა ახალგორი ოსეთის და კოდორის ხეობა აფხაზეთის ტერიტორიებად და ძვირად ღირებული სამხედრო ტექნიკა „მზითვად“ გაატანა მტერს. ნუთუ ისიც არ იცით, თუ როგორ გახადა სააკაშვილმა თავისი მოქალაქენი დევნილებად საკუთარ ქვეყანაში, როგორ დატოვა უპატრონოდ ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი გმირი ქართველი მეომრები. ამ დროს სააკაშვილი რუსთაველის გამზირზე „გამარჯვებას“ ზეიმობდა (როგორც ორუელის ცნობილი პერსონაჟი სქუილერი). და ერთიც: ნუთუ არ იცით, რომ სააკაშვილი პუტინთან ყოველთვის ორმაგ პოლიტიკას თამაშობდა და ეს არც არის გასაკვირი, ის ხომ სუკ-ის სკოლაში გაზრდილი და საკუთარი ბიძის, სუკ-ის გენერალ თემურ ალასანიას დისშვილია.

დაბოლოს, ისიც არ იცით, როგორ ხოხავდა თქვენს მიერ აღიარებული დიდი პოლიტიკოსი და რეფორმატორი მიწაზე თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე, ან შიშისაგან როგორ ღეჭავდა ჰალსტუხს?

სამწუხარო და, იმავდროულად, აღმაშფოთებელია, რომ ცნობილი ტელეარხის გენერალურ დირექტორს არ გცოდნიათ სააკაშვილის საგმირო საქმეები და თუ არ იცოდით, ძალიან ცუდია, მაგრამ თუ იცოდით, მით უარესი.

ალბათ, თქვენთვის უმაღლესი ღირებულება არის მერკანტილიზმი და არა ზნეობრიობა.

ლონდა მდივანი

დედამიწის ზურგზე

კონკურსს „მის აშშ“-ის გამარჯვებული გახდა ოკლაჰომის მცხოვრები

ბოსტონის უნივერსიტეტის 26 წლის კურსდამთავრებული ოლივია ჯორდანი წარადგენს თავის ქვეყანას კონკურსზე „მის სამყარო“. მეორე ადგილი დაიკავა ტეხასის წარმომადგენელმა ილიანა ჰერამ. ამ დროს კონკურსის თანამფლობელი დონალდი ტრამპი ფინალზე არ გამოცხადდა, აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო საქმითაა დაკავებული: მილიარდერმა რომელსაც იმედი ჰქონდა, კენჭი ეყარა პრეზიდენტობაზე, გამოთქვა მთელი რიგი არაკორექტული გამონათქვამი იმიგრანტების შესახებ.

მბჟუტავი ტორფი „ჩერნობილის ნაკრძალში“ ხანძრის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ ჩააქრეს

ხანძარს აქრობენ უკვე 2 კვირაა. უკრაინის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო სამსახური აღნიშნავს, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, თუმცა ხანძრის მოედნის შემცირება ჯერჯერობით ვერ შეძლეს.

პოროშენკომ განაცხადა, უკრაინის საზღვართან რუსეთის ჯარების „რეკორდული ოდენობის“ შესახებ

სხვათა შორის, კონკრეტული ციფრები უკრაინის პრეზიდენტს არ დაუსახელებია. ადრე პიოტრ პოროშენკო არაერთგზის სდებდა ბრალს მოსკოვს იმაში, რომ დონბასში სეპარატისტების მხარეზე იბრძვის რუსეთის რეგულარული არმია, მაგრამ ციფრები რაოდენობის შესახებ სხვადასხვა იყო მის გამოსვლებში. ივნისის დასაწყისში ის საუბრობდა 14 ათას რუს ჯარისკაცზე, თვის ბოლოს კი — უკვე 200 ათას რუს სამხედრო მოსამსახურეზე.

ბაღდადში რამდენიმე რაიონში აფეთქების ხმა გაისმა: დაიღუპა სულ ცოტა 35 კაცი, 100-ზე მეტი დაჭრილია

ერაყის დედაქალაქის რამდენიმე რაიონში ერთდროულად ჰაერში აფრინდა დანაღმული ავტომობილები. ამას გარდა, ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა ხალხმრავალ ადგილებში, ერთ-ერთი მათგანი აფეთქდა ბაზრის მახლობლად. ჯერჯერობით პასუხისმგებლობა აფეთქებაზე არავის უკისრია.

ევროპელმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ საბერძნეთი ჯერჯერობით ევროზონის შემადგენლობაში რჩება

დაუსახელებელი დიპლომატის სიტყვებით, რომლის სიტყვებიც მოჰყავს საკდესს, სამიტზე „ მიღწეული იქნა ურთიერთგაგება საბერძნეთის დახმარების მესამე პროგრამის დაწყების შესახებ, რაც გარანტიას იძლევა, რომ ქვეყანამ შეინარჩუნოს ადგილი ევროზონის შემადგენლობაში“. სააგენტოსთან მოსაუბრემ მიუთითა, რომ ეს პროგრამა განხორციელდება „მკაცრად ეტაპობრივად“, საბერძნეთის საბიუჯეტო ზონების რეალიზაციის შესაბამისად.

განცხადება

2015 წლის 7 აგვისტოს 15 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „ფოთი-მაცივარის“ აქციონერთა კრება, ქ. ფოთი, ლარნაკას 39

დღის წესრიგი:

1. 2014 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა.
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

დანართი №1

დამტკიცებულია
სსიპ – გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2015 წლის “----------“
№ ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	**ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:** **1.** დაიცვას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის #293 განკარგულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ: ა) ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლამდე განახორციელოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის (რუსთაველის ქუჩა) რეაბილიტაცია - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა; ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს ოთხ ეტაპად, თანდართული ტოპოგრაფიული რუკის (განკარგულების დანართი №1) მიხედვით, უბნების რიგითობის შესაბამისად. სალიცენზიო ობიექტის მე-4 უბანი დამუშავდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში. თუ მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას - პირველი, მე-2 ან მე-3 უბნის დამუშავების დროს მოხდება მე-4 უბნით გათვალისწინებულ ფართობზე მიწის საფარის დაზიანება (ჩანგრევა/ჩავარდნა), ან ადგილი ექნება მსგავსი საფრთხის შემცველ გარემოებებს, ლიცენზიანტი ჯერ უზრუნველყოფს ხსენებული უბნის დამუშავებას; გ) მხოლოდ წინა ეტაპის (განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შესაბამისი უბანი) დასრულების შემდეგ (მოპოვება, მოპოვების შემდგომ გაჩენილი ქვაბულის სრულად ამოვსება, მიწის ზედაპირის მოსწორება), რაც დადასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების ერთობლივი აქტით, განახორციელოს შემდეგი ეტაპის დაწყება; დ) სალიცენზიო ობიექტის დამუშავებისას გაითვალისწინოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის მონაკვეთის მიმდებარედ განლაგებული კერძო ობიექტების მესაკუთრეთა და მოსარგებელთა ინტერესები. ქონებით სარგებლობის შეუძლებლობის, ან/და ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება ან კომპენსაციის გაცემა განახორციელოს მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ე) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შეუთანხმოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელზეც გაცემულ იქნება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნა; აღნიშნული შეთანხმების თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს; ვ) მომზადებული წიაღით სარგებლობის პროექტი განსახილველად წარუდგინოს გარემოსდავითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ხოლო რეკულტივაციის პროექტი შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან; ზ) „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ, ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე გზის რეაბილიტაციის პროექტის (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად) ღირებულებისა და რეკულტივაციის პროექტის ხარჯთაღრიცხვის გათვალიწინებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტს წარუდგინოს პროექტების იდენტური თანხის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. მუნიციპალიტეტში საბანკო გარანტიის წარდგენის შემდგომ ინფორმაცია აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს; თ) ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები „ე“ „ვ“ და „ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდგომ. ერთ-ერთ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ; ი) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადები შეათანხმოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან და აღნიშნული ვადების თაობაზე შეთანხმების შემდგომ აცნობოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს; კ) უზრუნველყოს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების გატანა თანდართული სქემის (დანართი №2) მიხედვით; ლ) სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით; მ) სალიცენზიო ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის საფარის დაგება, „ე“ პუნქტით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად; ნ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნა, რომელიც დაადასტურებს საავტომობილო გზის მონაკვეთის (რუსთაველის ქუჩა) რეაბილიტაციას - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამუშაოების შესაბამისობას გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის შეთანხმებულ პროექტთან; **2.** საჭიროა ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ქვაბულების კედლების მდგრადობის უზრუნველყოფა, ხოლო ექსპლუატაციის დროს, ეტაპობრივად ქვაბულის მთლიანად ამოვსება და რელიეფისათვის პირვანდელი სახის დაბრუნება. **3.** სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებული წიაღით სარგებლობის და რეკულტივაციის პროექტების შესაბამისად. **4.** ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. **5.** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). **6.** დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩა, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 177 550 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩა
8	აუქციონის საწყისი ფასი	500 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	50 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	400 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 14 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აგვისტოს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აგვისტოს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ალიან-ჩალიანი

მეგობრობის მაღლი

2015 წელს თბილისისა და გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის დაძმობილების 40 წლისთავი აღინიშნება. თბილისის მერის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ინფორმაციით, ასევე, წელს აღინიშნება საარბრიუკენისა და ნანტის დაძმობილების 50 წლისთავიც. სამივე ქალაქის პარტნიორობისა და მეგობრობის მრგვალი თარიღების აღსანიშნავად, მიმდინარე წელს მრავალი ღონისძიებაა დაგეგმილი.

„17 ივლისს, საარბრიუკენში აღინიშნება ქალაქის დღე – „შტადტფესტი“, რომელსაც უამრავი ადამიანი ესწრება. სწორედ ამ დღეს, საარბრიუკენის „თბილისის მოედანზე“, რომელიც ქალაქის ცენტრშია განთავსებული, ქართულ მხარეს წარმოადგენენ მუსიკალური ჯგუფები „ნიუტონი“ და „ვვა“ ფრანგ და გერმანელ კოლეგებთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ წამყვან როლს აღნიშნულ ღონისძიებაში ქართველი ხელოვანები თამაშობენ და რეჟისურას გერმანული მხარის დაკვეთით საარბრიუკენში მცხოვრები ქართველი რეჟისორი ლაშა ონიანი შეასრულებს.

26-29 ივნისს, საარბრიუკენში სამივე ქალაქის ოფიციალური დელეგაციების შეხვედრა გაიმართა, სადაც მცირე კულტურული პროგრამაც იყო წარმოდგენილი ფრანგი, გერმანელი და ქართველი მუსიკოსების მონაწილეობით. ამასთან ერთად, გერმანული მხარის ინიციატივით, საარბრიუკენისა და თბილისის დაძმობილების 40 და საფრანგეთის ქ. ნანტის და საარბრიუკენის დაძმობილების 50 წლისთავთან დაკავშირებით 17 ივლისს დაიგეგმა გრანდიოზული ინტეგრირებული კონცერტი, ომელშიც სამივე ქალაქის ხელოვანები მიიღებენ მონაწილეობას“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ინტერპრესი

ეპიტაფია

ყველასთვის საყვარელი პიროვნება

ქართველ ეკონომისტთა საზოგადოებას, ინტელიგენციას გამოაკლდა თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტი, დემოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მრავალი უცხოური და დარგობრივი აკადემიების წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ლეო ჩიქავა**.

დაიბადა 1928 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში, წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ასპირანტურა, 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1968 წელს — სადოქტორო დისერტაცია. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებელად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად, პ. გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად, სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსად.

პროფესორმა ლ. ჩიქავამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. იგი იყო მაღალპროდუქტიული, ღრმად განსწავლული, თანამედროვე ტიპის მეცნიერი და პედაგოგი. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 40-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო თავმჯდომარე და მრავალი სადისერტაციო საბჭოს წევრი, სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს თავმჯდომარე, მთიანეთის შემსწავლელი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კომისიების წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო მრავალი სამთავრობო კომისიის, სხვადასხვა სამეცნიერო ასოციაციისა და საზოგადოების წევრი, არჩეული იყო ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარედ. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებზე მისი ხელმძღვანელობით შესრულებული არაერთი მოხსენებითი ბარათი წარედგინა მთავრობას.

ლ. ჩიქავამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების ორგანიზაციაში. მან განავითარა თავისი მასწავლებლის — აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ საფუძველჩაყრილი დემოგრაფიული მეცნიერება, მისი ინიციატივით და ძალისხმევით დაარსდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, იყო მისი დირექტორი. მისივე ინიციატივით დაარსდა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის უცვლელი პრეზიდენტი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ლ. ჩიქავას მიერ გამოცემულმა ფუნდამენტურმა ლექსიკონებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის სრულყოფა-განვითარებაში. იგი იყო ქართულ ენაზე გამომავალი ეკონომიკური პროფილის თითქმის ყველა პრესტიჟული საერთაშორისო ჟურნალის, აგრეთვე უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების აქტიური წევრი, მისი რედაქტორობით გამოცემულია ათეულობით მონოგრაფია, სამეცნიერო კრებული და ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, მათ შორის, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

პროფესორი ლ. ჩიქავა არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. დაჯილდოებილი იყო ღირსების ორდენით, მისმა შრომებმა არაერთხელ დაიმსახურეს პრესტიჟული სახელობითი პრემიები.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მისი დამაარსებლის და უცვლელი პრეზიდენტის ბატონი ლეო ჩიქავას გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახის წევრებს, მეგობრებს და ახლობლებს, ქართულ ეკონომისტთა საზოგადოებას.

წავიდა ჩვენგან საქვეყნოდ აღიარებული დიდი მეცნიერი და პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მრავალმხრივ განათლებული, ფართოდ ერუდირებული, ინტელიგენტურობითა და აკადემიური დახვეწილობით გამორჩეული, დინჯი და ბრძენი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება. იგი დააკლდა სრულიად საქართველოს. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სრული შემადგენლობა უდიდესი გულისტკივილით იუწყება გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ღირსეული მამულიშვილისა და დიდი ერისკაცის, აკადემიკოს

ლეო ჩიქავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.

აკადემიის სახელით:
აკადემიის პრეზიდენტი
თეიმურაზ ბაბუნაშვილი,
ვიცე-პრეზიდენტები ნოდარ ჭითანავა, თამაზ იმედაძე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს დემოგრაფთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ათწლეულების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები გიორგი, მედეა ჩიქავები, და მზია ჩიქავა, რძლები მიმოზა მიქავა, დალი ბერულავა, სიძე ალექსანდრე სიჭინავა, შვილიშვილები თამარ, ლეო ჩიქავები, დავით, ზაზა, ცოტნე სიჭინავები, ძმისწულები ზურაბ, მანანა ჩიქავები ოჯახებით, დისწულები მერაბ, თემურ, ქეთინო ღვინჯილიები ოჯახებით, მძახლები ვახტანგ ბერულავა, ზიზი ანთელავა, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეო ლეონტის ძე ჩიქავა

პანაშვიდი 14, 15 VII, 17 სთ. ყიფშიძის ქ. №7, V სადარბაზო. გამოსვენება 16 VII, 14 სთ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსის ეზოში მდებარე ეკლესიიდან. ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ლორთქიფანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქართული დემოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ლეო ჩიქავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კლინიკური ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, აკადემიკოსი

ლეო ჩიქავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ქეთევან, ნოდარ ჭითანავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლია ელიავა, იაშა მესხია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ, გიორგი ბერულავები, ზიზი ანთელავა, თეა ვახანია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, გამორჩეული და ღირსეული პიროვნება, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ლეო ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით უერთდება ქართველი ინტელიგენციის დიდ ტკივილს თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ოჯახის უფროსი მეგობრისა და დიდი გულშემატკივრის, აკადემიკოს

ლეო ჩიქავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

◎ ვერნისაჟი

სიმეტრიით აღქმული სამყარო



ღვთის მადლით, ჩვენში მრავლადაა ნიჭიერი, საკუთარი თვალთახედვით სამყაროს სიდიადის ორიგინალურად გადმომცემი ფოტოხელოვანი, ამდენად განებივრებული მაყურებლის რაგინდ განსხვავებული ფოტოგამოფენით გაკვირვება, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა.

და მაინც, გასული კვირის მიწურულს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის ვ. არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მოწყობილი ცნობილი ფოტოხელოვანის **მიხეილ როსტომაშვილის** ნამუშევართა პერსონალური გამოფენა „სამყარო სიმეტრიაში“ თვითმყოფადობით მაინც გამორჩეულია.

მისი განსაკუთრებულობა თავად სახელწოდებაშივე ჩანს – გამოფენილი 34-ვე ფოტონამუშევრის მარჯვენა და მარცხენა მხარეები ერთმანეთის სარკისებრი ანარეკლია. მიხეილ როსტომაშვილის ამ გამოფენის მთავარი „პერსონაჟი“ დედა-ბუნებაა, მისი მარადიული მშვენიერება და სახეთა მონაცვლეობა, თუმცა, შიგადაშიგ კედლებიდან ყოფაც გვიმზერს და ჩვენც თითქოს სარკეში ვიცქირებით.

მიხეილ როსტომაშვილს, ღირსების ორდენის კავალერს, რომელსაც ეს ჯილდო 2000 წელს ფერეიდანში გადაღებული ფოტორეპორტაჟისთვის მიენიჭა, არაერთ ფოტოგამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, პერსონალურიც მრავლად გაუმართავს, ძირითადად თბილისსა და ბათუმში. მისი მშვენიერი პერსონალური გამოფენების სულისკვეთების შესახებ არათუ თავად ნამუშევრები, არამედ სახელწოდებებიც ბევრს მეტყველებენ – „რომანტიკული მოტივები“, „განწყობილება“, „მარადისობა წამისა“ და აი, ბოლო „სამყარო სიმეტრიაში“.

– ამ სტილის ფოტოგამოფენა საქართველოში პირველია. შარშან მოწყობილ პერსონალურ გამოფენაზე ამ ტიპის რამდენიმე ფოტო მქონდა წარმოდგენილი, მაგრამ შემდგომ, მეგობრის კობა ჩანადირის რჩევით, მთელი სერია შევქმენი, – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ბატონმა მიხეილმა. – თავდაპირველად ამ სტილის ფოტონამუშევრების შექმნაზე საგანგებოდ არ მიფიქრია, პირველი ასეთი ფოტო, გარკვეულწილად, „შემთხვევით“ გამომივიდა, თუმცა კი, სერიის შექმნა მხოლოდ შარშან ჩავიფიქრე. ამ ტიპის ფოტოებს ადრე ცნობილი ფოტოხელოვანი ზურაბ დათუაშვილი აკეთებდა, თუმცა კი, უწინ ეს მეტად რთული პროცესი იყო, ახლა კი, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, ამის გაკეთება იოლია.

თუმცა კი, თავის სათქმელს უკეთ თავად ნამუშევრები გეტყვიან.

გამოფენა კიდევ ორ დღეს გასტანს.



ოთარ ტურაბელიძე

მიხეილ როსტომაშვილის ფოტო.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◎ ცინცხალი ანეკდოტები

შემთხვევა:

მეხუთე შემთხვევაა, როცა მუზეუმიდან კაზიმირ მალევიჩის „შავ კვადრატს“ იპარავენ! და, აი, უკვე ზედიზედ მეხუთედ ყარაული ძია ვასია დილამდე უკვდავი ტილოს აღდგენას ახერხებს!

* * *

სწორედ თავდაცვითი ომების შედეგია ის, რომ ერთი ციდა მოსკოვის სათავადო თანამედროვე რუსეთის იმპერიის საზღვრებში დღესდღეობითაც ვერ ეტევა.

* * *

ისე, კაცმა რომ თქვას, როცა კაცს რაღაც კარგის გაკეთება გინდა, აუცილებლად მოდიან სხვა კარგი ძიები და ყველაფერს ერთიანად აფუჭებენ!

რატომაა, რომ როცა ერთ მამაკაცს ბევრი ქალი ჰყავს, ის დონჟუანია, ხოლო როცა ერთ ქალს ბევრი მამაკაცი ჰყავს, ის ბოზია?!

* * *

ძალიშვილებო, ნუ ეცდებით, იყოთ დამჯერები და წესიერები, თორემ სიბერეში ტკბილად გასახსენებელი არაფერი გექნებათ!

* * *

ერიდეთ ხალხს, ვინც რთული პრობლემების მარტივ გადაწყვეტებს გთავაზობთ. მათი პროგრამის პირველი პუნქტი, ჩვეულებრივ, იწყება სიტყვებით: „დაიხვრიტოს...“

* * *

– **ჭიჭიკია** ბიჭო, ლონდონში რო იყავი ახლა, ჩემ ნასწავლ ინგლისურთან პრობლემები ხო არ გქონია?

– მე არა მასწ, მე რა... პრობლემები თუ ქონდათ, ინგლისელებს ქონდათ, თანაც ბლომად!..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24